# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 31 ივლისი 2002 №141 (1663) ფასი 50 თეთრი


# სამოთხეს არავინ გაჩუქებს

## Torpedo v nymburském ráji



## ნიმბურკში ფეხგაშლილ ტორპედოს ლეტნაზე ძალიან დასცხება

ფარერებიდან ჩეხეთში მშვიდობით ჩასულმა ქუთაისის „ტორპედომ" პრაღის მახლობლად, ნიმბურკში დაიდო ბინა და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის დღეს გასამართი პირველი მატჩისთვის იქ სრულფასოვნად მოემზადა. ქუთაისელთა უკრაინელ მწვრთნელ ალექსანდრ შტელინს ჩეხური „სპორტის" ჟურნალისტთან ნიმბურკის სანახებსა და იქაურ სავარჯიშო პირობებზე აღფრთოვანებულს უსაუბრია და ჩვენს კოლეგებსაც წერილი „ტორპედოზე" ასე დაუსათაურებიათ: „ტორპედო" ნიმბურკის სამოთხეში".

გუშინ კი ჩვენებურები სამოთხიდან აიყარნენ და უჩვეულოდ ჩახუთულ პრაღას ესტუმრნენ. საღამოს ცნობილ „ლეტნაზე" ვარჯიშიც მოასწრეს და, ალექსანდრ შტელინს თუ ვერწმუნებით, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე სათამაშოდ შემართულ „სპარტასთან" თავის შერცხვენას სულაც არ აპირებენ.


დავით კაკაბაძის რეპორტაჟი პრაღიდან
იხილეთ მეორე გვერდზე


# თეთრი ულვაში თეთრი ბაირაღი არ არის



## პატარკაციშვილის და ჟორდანიას საიდუმლო შაბათობა გარიგება თუ მორიგება?



„სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, რა თემაზე ილაპარაკეს" — თქვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ მას შემდეგ, რაც დაადასტურა, რომ შაბათს პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს რანდევუ ჰქონიათ. ცხადია, შეხვედრის თემა საზამთროს გაიაფება არ იქნებოდა: ჟორდანიას მთავრობას უჭირს, ფედერაციის 24 აგვისტოს არჩევნებზე ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა დავით პეტრიაშვილისა და მისი გუნდის სახით და პეტრიაშვილს — ამის დამალვას რა აზრი აქვს — სწორედ პატარკაციშვილი მფარველობს. დიალოგი კონსტრუქციული ყოფილაო, აღნიშნა კიდევ ჩოლარიამ. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მხარეებმა ერთგვარი ჯენტლმენური შეთანხმება დადეს. ჟორდანია პრაღაშია, რომ მობრუნდება, იქნებ მოვლენებს ნათელი მოჰფინოს, მერე კი ქართული ფეხბურთის შეფებს ელით ვიზიტი მთლად უფროსთან. ფიფაში ჩვენი ფედერაციის ფაქსი მისულა საარჩევნო მოვლენების და სასამართლო გადაწყვეტილებათა სრული აღწერილობით. იოზეფ ბლატერმა ქართველები ციურიხს იხმო. გასაჯორად თუ მხარდასაჭერად, ამას მომავალ კვირას შევიტყობთ.

# ჩემპიონთა ლიგა

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

პრაღა. „ლეტნა". 31 ივლისი. 20 საათი

## სპარტა — ტორპედო

# ტორპედომ პრაღაში გაილეტნა

*ფარერებიდან 26 ივლისს ჩამოფრენილი ქუთაისელები ნიმბურკში დაბინავდნენ და მას მერე მათთვის აქაურ მედიას და „სპარტას" ხელმძღვანელებს ყურადღება არ მოუკლიათ. გამორჩეულად პოპულარული გაზეთები „სპორტი" და „მლადა ფრონტა დნეს" აქტიურობდნენ. ალექსანდრ შტელინს რამდენჯერმე საინტერვიუოდ ესტუმრნენ, ტორპედოელებს კი იმ დროს წაადგნენ, როცა მოცალეობისას ბანქოს თამაშით იქცევდნენ თავს.*

*ცხადია, ჩეხ ჟურნალისტებს არც თავისიანები დავიწყნიათ და მათი წერილების ტონი აშკარად იმას მიანიშნებს, რომ „სპარტას" გამარჯვებაში დარწმუნებულნი არიან*

**„სპარტამ"** წინა სეზონში ბევრი ფეხბურთელი გაასხვისა, მაგრამ ახალი სეზონის დაწყებამდე არანაკლებ სახელიანი მოთამაშეები გადაიბირა. იტალიური „ლაციოდან" კარელ პობორსკი დაიბრუნა, „კიოლნიდან" მიროსლავ ბარანეკი და „დეპორტივოდან" 1996 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი, მეკარე პეტერ კოუბა. „სპარტას" მწვრთნელიც ახალი ჰყავს, გამოცდილი იოზეფ იაროშინსკი. ჩეხ კოლეგებს გამორჩეულად კარელ პობორსკის იმედი აქვთ. ყოფილი ლაციოელი ახლა მართლაც კარგ ფორმაშია, სწორედ მისი ერთადერთი გოლით შეძლო „ტორპედოს" დღევანდელმა მეტოქემ ჩეხეთის ჩემპიონატის პირველ ტურში „ტეპლიცეს" დამარცხება.

„სპარტა" ჩემპიონთა ლიგისა და ქვეყნის პირველობისთვის ნაყოფიერად მოემზადა და საკონტროლო მატჩებშიც ისეთი გუნდები დაამარცხა, „გრასჰოპერი", „ნანტი", „ლეგია" და „სლოვანი" რომ არიან.

მოკლედ, აქაურ მედიას ვერცკი წარმოუდგენია „სპარტას" ქუთაისელებთან წაფორხილება. თავად გუნდის მწვრთნელ-ხელმძღვანელები კი ფრთხილობენ, აქაოდა, ბურთი მრგვალია და არც „ტორპედოა" ხელწამოსაკრავი გუნდიო. კლუბის გენერალური მენეჯერი მიროსლავ პელტა კი დღესაც ქუთაისში გატარებულ დღეებს იხსენებს. იმერელთა მასპინძლობით მოხიბლულმა გვითხრა: თქვენებურებმა ჩინებული დახვედრა მოგვიწყვეს. არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. ხოლო ის ამბავი, რომ საპასუხო მატჩისას „ტორპედო" საკუთარ ბაზას დაგვითმობს, მართლაც დაუჯერებელიაო.

ჰოდა, ამის მერე რა გასაკვირია, პრაღელებმა ქუთაისელებს „სამაგიერო" რომ გადაუხადეს და ნიმბურკის მართლაც მშვენიერი ბაზა მთელი კვირით გაუხერხეს. თავში გითხარით, „ტორპედო" დღეს ჩამოვიდა პრაღაში და „სპარტას" სტადიონ „ლეტნაზეც" ივარჯიშა. მერე კი ალექსანდრ შტელინმა, დაპირებისამებრ, ჩვენთან სასაუბროდ მოიცალა:

— ნიმბურკში გატარებული ერთი კვირით ძალიან კმაყოფილი ვარ. ასეთ პირობებში მზადებაზე არავინ იტყვის უარს.

ტრავმირებულიც არავინ გვყავს. ზურაბ იონანიძე და გაგა ჩხეტიანი ფეხს იტკიებდნენ, მაგრამ გუნდის ექიმმა ყველაფერი გააკეთა მათ გამოსაჯანმრთელებლად. სევასტი თოდუამაც მოირჩინა ტრავმა.

**— დისკვალიფიცირებული ვახტანგ ხვადაგიანიც დაგიბრუნდათ, გივი დიდავაც ტორპედოელია. ამ ფეხბურთელებს ხვალ ალბათ, მოედანზე ვიხილავთ...**

— ჯერ არ გადამიწყვეტია, როგორი შემადგენლობით ვითამაშებთ. ძირითად თერთმეტეულს მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე დავასახელებ.

**— „სპარტას" თამაშის ფირი თუ ნახეთ?**

— ჩეხებმა „ტეპლიცესთან" ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩის ვიდეოფირი არ დაგვამალეს, მე და სოსო ფრუიძემ გუნდთან ერთად რამდენჯერმე ვნახეთ მეტოქის თამაში. „სპარტა" რომ მართლაც ძლიერი გუნდია, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით.

**— ხელი რომ არ ჩაგიქნევიათ?**

— ცხადია, არა. დღევანდელ ვარჯიშს უყურეთ და ხომ ნახეთ, ფეხბურთელები ერთმანეთს არ ზოგავდნენ. მჯერა, ხვალ მეტოქეს არ დაზოგავენ. ძალიან მინდა, ქუთაისში თავაწეულები ჩავიდეთ.

**დავით ძაძამიძე პრაღიდან**

Gruzínský mistr odpočívá u karet



საქართველოს ჩემპიონი ბანქოს თამაშით იქცევს თავს

**„მლადა ფრონტა დნეს"**



ალექსანდრ შტელინი

გაიოზ კოპალეიშვილის ფოტო

# ავიდეთ ფიფაში

## ბლატერმა ჟორდანია და ჩოლარია ციურიხში დაიბარა

24 დღე დარჩა ფეხბურთის ფედერაციის რიგით მეხუთე ყრილობამდე. აქამდე ბევრი ნახა და მოისმინა საფეხბურთო საქართველომ, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც დარჩენილ დროშია მოსალოდნელი. პრეზიდენტობის კანდიდატებს, მათ საარჩევნო შტაბებს შორის ვითარება სულ უფრო იძაბება. დავით პეტრიაშვილის გუნდი მეტოქეს კი უტევს, მაგრამ არც მერაბ ჟორდანიაა გულხელდაკრეფილი და მოწინააღმდეგეს კონტრიერიშით პასუხობს. მათ ფონზე ცოტა მოკრძალებულად გამოიყურება მესამე კანდიდატი ვაჟა ჩხაიძე, რომელსაც ბევრის გასაკვირად გამარჯვების იმედი აქვს



ვალერი ჩოლარია

გაიოზ კოპალეიშვილის ფოტო

ხან ერთი მხარე აწყობს პრესკონფერენციას, ხანაც მეორე გადაგვიშლის გულისნადებს, მესამე კი თითქმის ყოველდღე გვთავაზობს თავის მოსაზრებებს. ჩვენც ქართულ საფეხბურთო სამყაროსთან მიგვაქვს მათი ნათქვამი თუ ნამოქმედარი, მაგრამ ამ ბოლო დროს ყრილობის ირგვლივ იმდენი ვერსია თუ ჭორი მოვისმინეთ, რომ ცოტა დავიბენით. ალბათ, მხოლოდ 24 აგვისტოს გაცხადდება სიმართლე, ვინ ვინ არის ყრილობაზე გამოჩნდება, მანამდე კი...

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გენერლურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვიწვია საპრესკონფერენციოდ. ფედერაციას დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 23 ივლისის გადაწყვეტილება მოუვიდა, ორიოდ დღეში ეროვნული ჩემპიონატი იწყება, ნაკრები გუნდები სხვადასხვა ტურნირებში თუ ქვეყნებშია გასამგზავრებელი, ფიფა-უეფადან ფაქსი მოვიდა... მოკლედ, სათქმელი დაგროვებოდა გენერალურ მდივანს.

— ჩვენ ბრალს გვდებენ ქვეყნის კანონმდებლობას და სასამართლოს დადგენილებას არ ემორჩილებითო. არ არის მართალი, კანონის წინააღმდეგ არასდროს წავსულვართ, მაგრამ იქნებ გამაგებინოთ, როგორ შეიძლება, ვენდოთ იმ მოსამართლეს, რომელიც მსგავს გადაწყვეტილებას გვიგზავნის — ჩოლარიამ საქაღალდე გახსნა და მოსამართლე ნუნუ კვანტალიანის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი მაგიდაზე დადო.

„დავით პეტრიაშვილის სარჩელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ დაკმაყოფილდეს.

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2002 წლის 8 თებერვლის აღმასკომის დადგენილების მე-3 პუნქტის მეოთხე ქვეპუნქტი და მე-4 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი აღმასკომის წევრების, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის და „ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის" ხუთი წარმომადგენლისთვის ყრილობის დელეგატის სტატუსის მინიჭების თაობაზე და 2002 წლის 24 ივნისის დადგენილება ბავშვთა სკოლების დელეგატებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაში მონაწილეობის შეზღუდვის თაობაზე".

— თუ სწორად გავიგე ამ გადაწყვეტილების შინაარსი, მაშინ გამოდის, რომ უხმოდ რჩებიან აღმასკომის წევრები, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ფეხბურთის ვეტერანები. არადა, თითქოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ვეტერანებს ხუთიდან ერთი საარჩევნო ხმა დაუტოვეს. მე ამას უკომენტაროდ ვტოვებ, მტყუან-მართალი ხალხმა გაარჩიოს.

ფედერაციამ აღნიშნულ საკითხზე ფიფას დაწვრილებით ყველაფერი აცნობა. ორდღიანი ლოდინის შემდეგ ფიფადან პასუხი მივიღეთ. მერაბ ჟორდანია და მე იოზეფ ბლატერმა ციურიხში მოგვიწვია. ალბათ, ორშაბათს გავემგზავრებით. ეს არ არის მაინცდამაინც სასიამოვნო გამოძახება, მაგრამ გვერწმუნეთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

ფედერაციის გენერალური მდივანი ნაკრების თემაზე აპირებდა ლაპარაკს, მაგრამ საარჩევნო ორომტრიალის ირგვლივ ერთიც ვკითხეთ და ვალერი ჩოლარიამაც გვიპასუხა.

**— გავრცელდა ხმები, თითქოს მერაბ ჟორდანია და ბადრი პატარკაციშვილი ერთმანეთს შეხვდნენ და კარგა ხანს ისაუბრეს. ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას და რაზე მოილაპარაკეს ერთმანეთის მეტოქე პიროვნებებმა?**

— თქვენ კითხვა დამისვით, ამიტომ ვალდებული ვარ გიპასუხოთ. შაბათს, 27 ივლისს მერაბ ჟორდანია და ბადრი პატარკაციშვილი მართლაც შეხვდნენ და ისაუბრეს. სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, რა თემაზე ილაპარაკეს. მე შეხვედრას არ ვესწრებოდი. მერე ჟორდანია პრაღაში გაემგზავრა, რამდენიმეწუთიანი სატელეფონო საუბარი კი გვქონდა და მერაბისგან ვიცი, რომ კონსტრუქციული დიალოგი გამოუვიდათ. დაბრუნდება ფედერაციის პრეზიდენტი და მერე უფრო დეტალურად შეცოდინება საქმის არსი.

ფედერაცია დღე-დღეზე უეფადანაც ელოდება ფაქსს. შვეიცარიელებმა და ქართველებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სადებიუტო მატჩის თარიღზე ვერ მოილაპარაკეს და ამათ დავას უეფა გაარჩევს.

— თარიღს უეფა დაგვიდგენს, მსაჯები კი უკვე ცნობილია. ახალგაზრდულების თამაშს ებრაელი იაკობ პაიძი განსჯის, ხოლო ეროვნულებს სლოვაკი ვლადიმირ ხორნაკი მოარიგებს. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ჩვენებური სერგო კვარაცხელია 6 სექტემბერს სლოვენია — მალტის ახალგაზრდული გუნდების თამაშს იმსაჯებს.

სერგო კუტივაძის ჩვიდმეტწლამდელები 8 აგვისტოს პალანგის ტურნირზე გაემგზავრებიან, ხოლო ოთარ კორღალიძე 6 აგვისტოს 1984 წელს დაბადებულებს ბაქოში გაუძღვება საერთაშორისო ტურნირზე.

მომავალ აღმასკომზე „დინამოს" საკითხსაც გავარჩევთ. გეხსომებათ, ბოლო შეხვედრისას აღმასკომმა მოდავე მხარეებს მოლაპარაკებისკენ მოუწოდა. როგორც ჩანს, ერთმანეთს არ შეხვედრიან და ხომ უნდა გაირკვეს, ვინ არის მართალი?!

თურქეთში ახალგაზრდული გუნდი 18 აგვისტოს ავტობუსით გაემგზავრება, ხოლო ეროვნული ნაკრები 20-ში თვითმფრინავით იმგზავრებს. ახალგაზრდები რიზეში ითამაშებენ, ტრაბზონში ეროვნულსაც უქომაგებენ და მერე ქართული დელეგაცია თბილისში წამოვა.

პრესკონფერენცია, რომელიც ვალერი ჩოლარიას კაბინეტში მოეწყო, ორმოციოდე წუთში დასრულდა. გენერალური მდივანიც ღიმილით დაგვემშვიდობა. ლოდინი კი ფაქტია, დიდხანს არ მოგვიწევს. ჯერაც იმდენია სათქმელი, რომ მოსაწყენად ვინ მოიცლის.

**მამუკა ძვანტალიანი**

## გერმანია

ლიგის თასი

დორტმუნდი 1:2 ჰერტა

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

I ტური

ვერდერი (მ) 1:0 ფირლი

სამხრეთ რეგიონალლიგა

II ტური

ლაუტერნი (მ) 1:1 აინტრახტი (მ)

ერფურტი 2:1 შვაინფურტი

## შვედეთი

XII ტური

 იორგრიტე 4:1 ელფსბორგი

## ავსტრია

IV ტური

შტურმი 3:0 ბრეგენცი




# იყიდება უნიკალური წიგნები

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

# ნემსაძე ათიანით იწყებს, ხიზანიშვილი კი ცამეტით მოიცდის

**ქართველ ლეგიონერთაგან** ახალ სეზონს პირველები შოტლანდიელები იწყებენ. 3 აგვისტოს გიორგი ნემსაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „დანდი" „ჰართსს" უმასპინძლებს, შოთა არველაძის „რეინჯერსი" კი „კილმარნოკს" ესტუმრება.

შაბათს „დანდიმ" ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა, ინგლისის პირველი დივიზიონის „პრესტონს" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ „პრესტონთან" პირველად ითამაშა შეუცვლელად საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ, რომელიც, ჩვენი შოტლანდიელი კოლეგების თქმით, შაბათს დანდელთაგან საუკეთესო იყო: „ქართველი ნახევარმცველის ჩინებული პასები ჯერ სლატერმა, შემდეგ სტივენ რობმა ვერ გამოიყენეს, თავად ნემსაძის დაახლოებით 30 მეტრიდან დარტყმული საჯარიმო კი სტუმართა კარს სულ ოდნავ ასცდა".

„პრესტონთან" არ უთამაშია მეორე ქართველს, ზურაბ ხიზანიშვილს. მან, მოგეხსენებათ, ვარჯიში ახლახან განაახლა და თანაგუნდელებს, ალბათ, კიდევ ორი-სამი კვირა ვერ დაეხმარება. ნემსაძე კი, ამბობენ, ნელ-ნელა უახლოვდება ოპტიმალურ სათამაშო ფორმასო. შოტლანდიის მომავალი ჩემპიონატისთვის „დანდიმ" ფეხბურთელებიც დანომრა. ნემსაძე კვლავ 10 ნომერი იქნება, ხიზანიშვილმა კი ამჯერადაც მე-13 ირჩია.

**ქოგა ინასარიძე**



გიორგი ნემსაძე (მარცხნივ) „პრესტონთან" ბოლო საკონტროლო მატჩში ჩვეულად გამორჩეული იყო

# რუსულმა სპარტაკმა აბრამიძე მოითხოვა



ვალერი აბრამიძე

**რუსეთის ჩემპიონი** მოსკოვის „სპარტაკი" კიდევ ერთი ქართველი მცველით დაინტერესდა და დღეს-ხვალ, ალბათ, ოფიციალური კონტრაქტიც გაფორმდება.

ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი ფეხბურთელი ვალერი აბრამიძე ერთი კვირაა, „სპარტაკში" ვარჯიშობს და უკვე მოახერხა, მწვრთნელ ოლეგ რომანცევისთვის თავი მოეწონებინა. გუშინ რუსებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატი მოითხოვეს და პასუხსაც უპრობლემოდ მიიღებენ. ქუთაისის „ტორპედოც" აბრამიძის განთავისუფლების წინააღმდეგი ვერ იქნება. აბრამიძეს ქვეყნის ჩემპიონთან კონტრაქტი უკვე დამთავრებული აქვს და უკეთეს შემთხვევაში ქუთაისელები „სპარტაკისგან" ფეხბურთელის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხას თუ მიიღებენ.

„მოსკოვის „სპარტაკთან" კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, ჯერ ვვარჯიშობ და ვიმედოვნებ, ამ კლუბში ჩემი დარჩენის საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ყოველ შემთხვევაში, მსურს, რომ „სპარტაკში" ვითამაშო. კარიერისთვის უკეთესი იქნება. არ არის გამორიცხული, მოსკოველებთან კონტრაქტს ხელი ხვალვე მოვაწერო. გუნდის სანქტ პეტერბურგიდან დაბრუნებას ველი. კონტრაქტის პირობებზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი" — გვითხრა ვალერი აბრამიძემ.

შეგახსენებთ, ამჟამად „სპარტაკის" სათადარიგო გუნდში ქართველი თავდამსხმელი დავით ქოქაშვილი თამაშობს. მცველი კახა მკავანაძე კი რუსებს მახაჩყალის „ანჟიში" ჰყავთ განათხოვრებული. ცოტა ხნის წინ „სპარტაკში" ერთი ქართველი მცველი ოთარ ხიზანეიშვილიც იყო, თუმც მან გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა და „როსტსელმაშში" განათხოვრების შემდეგ თბილისის „დინამოში" დაბრუნდა.

**ქოგა ინასარიძე**

# შუშაკმა რივალდო ხელიდან გაუშვა

## ხორვატმა ქართული სისტემა დაიწუნა, დინამოს ზრდილობა მოიწონა

*ნაყოფიერი შეკრება გაიარა ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ „დინამომ" გერმანულ რუიტში. ხორვატმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა წვრთნა არ დააკლო ფეხბურთელებს და 7 საკონტროლო მატჩშიც გამოსცადა გუნდი. „დინამომ" 6-ჯერ იმარჯვა, ერთი შეხვედრაც ფრედ დაასრულა და კმაყოფილი დაუბრუნდა დიღმის ბაზას.*

*სამ დღეში ეროვნული ჩემპიონატი იწყება და ივო შუშაკმა ჟურნალისტთა წინაშე წარდგომა ინება მოსამზადებელი ეტაპის ერთგვარი ანგარიშით. მწვრთნელმა კაპიტანი გიორგი შაშიაშვილიც იახლა გუშინდელ პრესკონფერენციაზე და ვრცლად ისაუბრა „დინამოს" ირგვლივ.*

*შუშაკი ტრადიციისამებრ გუშინაც შეუდარებელი იყო მედიასთან ურთიერთობაში. ჟურნალისტებს გულთბილად მოგვესალმა, ყველა სათითაოდ მოგვიკითხა, თქვენთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებო, გვითხრა და საქმესაც შეუდგა*



გიორგი შაშიაშვილი და ივო შუშაკი გერმანიიდან კმაყოფილები დაბრუნდნენ

**ივო შუშაკი:** როგორც იცით, ზამთრის შესვენების შემდეგ ჩავუდექი „დინამოს" სათავეში. უკვე ექვს თვეზე მეტი გავიდა და გარკვეული ანალიზის გაკეთება შემიძლია. თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ამ გუნდთან მუშაობა ორმხრივად ნაყოფიერი აღმოჩნდებოდა. ქულათა სოლიდური სხვაობით ჩამორჩენილით ლიდერებს, მაგრამ ბოლოს საქმე ისე აეწყო, რომ ჩემპიონობაც შეგვეძლო. საბოლოოდ მესამე ადგილს დავჯერდით და უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ. ამას წარმატებად ვთვლი და ბიჭების მადლობელი ვარ. გაზაფხულზე კარგად შევისწავლე გუნდი და დავრწმუნდი, რომ ამ ბიჭებით მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება შემეძლო. რწმენა გერმანულმა შეკრებამ უფრო გამიმტკიცა.

უცხოეთში შეკრების მოწყობა ჩემი პრინციპული სურვილი გახლდათ და კლუბის ხელმძღვანელებმაც შემიწყვეს ხელი. მათ „დინამოს" საწვრთნელად ჩინებული ადგილი შეარჩიეს დაბა რუიტში. სრულფასოვანი ვარჯიშ-მეცადინეობებისთვის საუცხოო პირობები გვქონდა და გარწმუნებთ, თითოეულმა ფეხბურთელმა „გერმანული დღეების" წყალობით 20-25 პროცენტით აიმაღლა სათამაშო კონდიციები. მნიშვნელოვნად გაიზარდა გუნდური პოტენციალიც, რაც ჩვენს მიერ ჩატარებულმა საკონტროლო მატჩებმაც ცხადყო. ტაქტიკურად, ფიზიკურად, ტექნიკურად მნიშვნელოვანი წინსვლა დაეტყო „დინამოს" და ამით აღფრთოვანებული ვარ. საწვრთნელი ეტაპის ასე ჩინებულად გავლაზე ვერც ვიოცნებებდი, ამიტომაც გადაჭრით ვაცხადებ, რომ ჩვენ ეროვნული ჩემპიონატის ფავორიტები ვართ. გუნდს საჩემპიონო პოტენციალი რეალურად აქვს, თუმც არც იმას უარვყოფ, რომ წინ ჯერაც ბევრი სამუშაო გვაქვს. გამორჩევით ის მახარებს, რომ ამ გუნდს ჯერაც ყველაფერი წინ აქვს, რადგან ზრდას აგრძელებს.

**გიორგი შაშიაშვილი:** ფეხბურთელები აშკარად ვგრძნობთ პროგრესს. შეკრებამ მართლაც ჩინებულად ჩაიარა. საკონტროლო მატჩებში გაზრებული, გუნდური ფეხბურთი ვითამაშეთ. პირადად მე ჩინებულ ფორმაში ვარ, ასევე არიან სხვებიც და იმასაც ვგრძნობთ, რომ მეტის მიღწევა შეგვიძლია. ჩვენ საქართველოს ჩემპიონატი და თასი უნდა მოვიგოთ და უეფას თასის პირველი ეტაპი გადავლახოთ. ეს პროგრამა-მინიმუმია. ევროასპარეზზე ჩვენი შემდგომი წინსვლა კი გარკვეულწილად კენჭისყრაზეც იქნება დამოკიდებული. ვნახოთ, ჩვენ მზად ვართ ბოლომდე ვიბრძოლოთ.

**ივო შუშაკი:** გერმანიაში ბევრი სასიამოვნო კომპლიმენტი მივიღეთ. გამორჩეულად გამიხარდა ფრაიბურგელი ქართველების შექება. „დინამო" ევროპულ, სწორ ფეხბურთს თამაშობსო, მითხრეს მათ. ამავე აზრის იყვნენ იქაური სპეციალისტებიც.

კმაყოფილი ვარ გუნდში დისციპლინის მაღალი დონითაც. გერმანიიდან გამომგზავრების წინ საწვრთნელი კომპლექსის ხელმძღვანელობამ, მომსახურე პერსონალმა გამოგვაცილა და გზად ბევრი სამადლობელი სიტყვაც გამოგვაყოლა, ასეთი ზრდილობიანი და კულტურული ფეხბურთელები იშვიათად გვინახავსო.

ჩემი სურვილი იყო, გუნდი გადამეხალისებინა და გამეძლიერებინა. დავამატეთ ახალაია და კვირკველია. ესენი პერსპექტიული ფეხბურთელები არიან და ძირითად შემადგენლობაში თამაშიც არ გაუჭირდებათ. მაჩხავას და ებანოიძესაც კარგი პერსპექტივა აქვთ, მაგრამ ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს ნელ-ნელა გავუშინაურებთ გუნდის ძირითად ბირთვს.

შეკრებაზე რამდენიმე უცხოელი გავსინჯეთ. ცუდი ფეხბურთელები არ იყვნენ, მაგრამ მე ისეთი ხალხი მჭირდებოდა, ვინც აქაურზე ერთი თავით მაღლა იდგებოდა და უპრობლემოდ ჩაჯდებოდა ძირითად შემადგენლობაში. სამწუხაროდ, მათში ეს ვერ დავინახე.

ვიცი, რომ დღესდღეობით ჩვენს ბაზაზე უგუნდო გოჩა ჯამარაული ვარჯიშობს. კარგი ოსტატია, მაგრამ „დინამოში" აყვანილ ფეხბურთელს ამ გუნდისადმი ინტერესი უნდა ჰქონდეს. ასეთი რამ ჯამარაულისთვის არ შემიმჩნევია. თუმცა, ბუნებრივია, ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ ამ დონის ფეხბურთელის გუნდში თუნდაც მცირე ხნით ყოფნითაც გახარებული ვიქნებოდი.

სულმოუთქმელად ველი თურქეთ — საქართველოს ამხანაგურ მატჩს. მაინტერესებს ნაკრების წევრი ჩემი ბიჭების თამაში, თუ როგორ წარმოაჩენენ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს, რა სხვაობა ექნებათ სხვებთან შედარებით. ამ მატჩისას დავაკვირდები აგრეთვე საქართველოს ნაკრების იმ წევრებს, რომლებიც დღეს უგუნდოდ არიან. შევხვდები მათ და ვეცდები რომელიმესთან უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა ჩამოგვეყალიბდეს. სატრანსფერო მუშაობა ხომ ჯერაც არ დაგვიმთავრებია და „დინამოს" კარი გამორჩეულთათვის ღიაა. მათი საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ ვიცი, რეალურად უნდა შევხედო მოვლენებს, თორემ მარტო ჩემი სურვილი არ კმარა, რივალდოს გადმობირებაც მსურს ჩემს გუნდში, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია.

გაზაფხულზე დავრწმუნდი, რომ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იწევს საქართველოს ჩემპიონატის დონე. აშკარა აუტსაიდერები ჩვენს ჩემპიონატში არ არიან. პირველობა კი დავისახეთ, მაგრამ მიზანისკენ მაინც სიფრთხილით უნდა ვიაროთ. „დინამოს" წინააღმდეგ ხომ ყველა გამორჩეულად ითამაშებს.

ჩემპიონატის ფორმულა არ მომწონს, მაგრამ საქართველოს გაქანების ქვეყნებისთვის, აქაური საფეხბურთო მეურნეობის გაუმართაობის გათვალისწინებით, ვცებ დასაწუნიც არ იყოს. სხვათა შორის, ექსვეულებად დაყოფის სისტემაზე წლეულს ჩემს სამშობლოშიც გადავიდნენ. ამ გზას დაადგა სლოვენიის ფეხბურთის ფედერაციაც.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ყაველაშვილი და 250 უმუშევარი გერმანელი

## ქართველის ფული ევროპას არა აქვს

**საქართველოს ნაკრების** ნახევარმცველი მიხეილ ყაველაშვილი ისევ უგუნდოდ არის. მას გასული სეზონის ბოლოს დაუმთავრდა შვეიცარიულ „ციურიხთან" კონტრაქტი და ამ კლუბის მესვეურთა სურვილს, ქართველი ერთი წლითაც დაიყოლიონ, ფეხბურთელი დღემდე უარით პასუხობს. მაგრამ მიხეილ ყაველაშვილი ჯერჯერობით ციურიხიდან არსად წასულა და სასურველი კლუბის გამოჩენამდე გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

— რეალური წინადადება ჯერ არავისგან მიმიღია. ვიცი, რომ რამდენიმე შვეიცარიული და თურქული კლუბი მეპატიჟება, მაგრამ მათთან მოლაპარაკებებზე თავს ვიკავებ.

**— ხომ არ აგვიანებ? სადაცაა ყველა ქვეყანაში დაიწყება სეზონი.**

— უახლოეს ორ კვირაში, ვფიქრობ, თამაშს დავიწყებ, გადავწყვეტ, რომელ გუნდში გადავალ. ევროპული კლუბები უფულოდ დარჩნენ, ფინანსურ კრიზისში არიან. მაგალითად, გერმანიაში 250 პროფესიონალი ფეხბურთელია უგუნდოდ. შედარებით უკეთ საქმე იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთშია, თუმცა ამ ქვეყნის კლუბები უფრო ევროკავშირელი ფეხბურთელებით არიან დაინტერესებულნი.

**— შვეიცარიაშივე რომ დარჩენილიყავი?**

— არც აქ არიან დალხენილნი. წლეულს ევროპულ კლუბთა უმრავლესობას ფული აღარ აქვს, მათ შორის შვეიცარიელებსაც.

**— აბა, რას აპირებ?**

— სატრანსფერო სეზონი სექტემბრამდე თითქმის ყველგან ღიაა. მეც უკეთეს ვარიანტს შევარჩევ. თუ არაფერი გამოვიდა, დავრჩები „ციურიხში".

— გამოდის, 21 აგვისტოს თურქებთან ვერ ითამაშებ.

— ვნახოთ. იქამდე ვეცდები ვიპოვო სასურველი კლუბი, თორემ უთამაშებელი რომ ტრაბზონში ჩავიდე, რა აზრი აქვს.

**ქოგა ინასარიძე**



მიხეილ ყაველაშვილი

# არმიას რკინიგზამ ფრთები შეუკვეცა

## რუსეთი

XVII ტური

**ანჟი 0:1 შინიკი**

0:1 გრიშინი (3)
ანჟი: არმიშევი, გორდეევი (დმიტრიევი 50), აკ-სენოვი, სტოიკოვიჩი, ბაბიჩი, აგალაროვი, მშა-ვანაძე (ხოშიჩი 83), რამაზანოვი (მურემენინი 34), პრუდიუსი, ალექსეევი, საველიევი
გაფრთხილება: ვასილიევი
მსაჯი: ხოდირევი
12 000 მაყურებელი

**ცსკა 0:1 ლოკომოტივი**

0:1 ლოსკოვი (67)

**როტორი 0:0 როსტსელმაში**

**სოკოლი 2:0 ურალანი**

1:0 ხრამოვსკი (13), 2:0 კასუროვი (40)

**დინამო 1:1 სატურნი**

0:1 მუდავიდევი (10), 1:1 ხარლაჩევი (72)

**ზილ 0:0 ალანია**

ალანია: გაბულოვი, ჩგაევი, პაგაევი, სვიდერსკი, თეთრაძე, გ. ბაზაევი, ბითაროვი (ბესტაევი 81), კუსოვი (ტარლოვსკი 68), პაულუ ემილიუ, აშ-ვეთია (დ. ბაზაევი 88), დემბრაძე
მწვრთნელი: ბახვა თედეევი
გაფრთხილება: შესტაკოვი
მსაჯი: ელასოვი

**ტორპედო 4:3 კრილია**

1:0 შირკო (20), 1:1 ოვიე (38), 2:1 ლეონჩენკო (42პ), 3:1 სემშოვი (46), 4:1 ლებედენკო (48), 4:2 კარია-კა (63), 4:3 რადიმოვი (85)
ტორპედო: ყორობოვი, ლეხჩიჩი, მალაი, მახ-მუტოვი, ბუდილინი (კუზმიჩევი 73), ლეონჩენ-კო, კორმილცევი (საჰმაია 61), სემშოვი, ოგა-ნიანი (ლებედენკო 46), იოლოვიჩი, შირკო
მწვრთნელი: სერგეი პეტრენკო
გაძევება: შირკო (71)
მსაჯი: კლიუზნიკოვი

**ზენიტი 0:1 სპარტაკი**

0:1 ბესჩასტნიხი (77)

**მოსკოვის** „ტორპედოს" სტადიონზე ცსკა-სა და „ლოკომოტივს" შორის „ექვსი ქულისთვის მატჩი" რკინიგზელებმა მოიგეს. სანახაობრივად თამაში დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა. ამას ცალკე სიცხემ შეუშალა ხელი და ცალკე დაძაბულობამ, ლიდერთა შეხვედრა ხომ ყოველთვის თავისებურია. ხუმრობა ხომ არ არის, მსაჯმა ბასკაკოვმა ათი ფეხბურთელი გააფრთხილა და ერთიც გააძევა.

ეს გამარჯვება „ლოკომოტივისთვის" ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. ერთი, რომ უშუალო კონკურენტ არმიელებს დაუმტკიცეს, ჩემპიონობა თქვენთვის ჯერ ადრეაო და მეორეც, საზაფხულო შესვენების მერე, როგორც იქნა, მოჯადოებული წრე გაარღვიეს და სამი ქულა კაცურად მიითვალეს.

რკინიგზელებს არ ჰყავდათ დაშავებული სირხაევი და იზმაილოვი, მწვრთნელი იური სიომინი კი დისკვალიფიკაციას იხდიდა და თამაშს ტრიბუნიდან უცქერდა. მიუხედავად ამისა, რკინიგზელები ტაქტიკურად სწორად გაისარჯნენ, არმიელებს ფრთებზე განავარდების საშუალება შეუზღუდეს და ამით მთავარი კოზირი გაუუქმეს. გოლი კი 57-ე წუთზე გავიდა, საჯარიმოს სიახლოვეს ობიორას გასწვრივ გადაცემას ლოსკოვმა მოხერხებულად დაჰკრა ცაცია და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში შააგდო. დრო კიდევ საკმაო იყო, თანაც ბოლოსკენ რკინიგზელებს ევსიკოვთან უხეშობისთვის პომენოვიც გაუძევეს, მაგრამ ვალერი გაზაევის ბიჭებმა ვერც ამით ისარგებლეს: „ლოკომოტივს" დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ — თქვა მერე ვალერი გიორგიევიჩმა — ჩვენ ცუდად ვითამაშეთ, მოწინააღმდეგემ უკეთ. ახლა ფეხბურთელებთან ერთად დავჯდები და მარცხის მიზეზებს გავარკვევ.



დინამო — სატურნი. მასპინძელმა ალექსანდრ პანოვმა მეკარე პომაზინი გააწვალა

კახა მჟავანაძის „ანჟიმ" შინ „შინიკთან" წააგო, „სატურნმა" კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მოსკოვის „დინამოსთვის" უხერხული მეტოქეა. ქვეყნის თასის გათამაშებიდანაც ხომ გააგდო და ჩემპიონატშიც სისხლს უშრობს. დინამოელები ალექსანდრ პანოვის აქტიურობამ გადაარჩინა, თავად არ გაუტანია, მაგრამ სტუმრებს ხშირად აწუხებდა და ხარლაჩოვმაც მისი პასით გაათანაბრა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 18 | 11 | 6 | 1 | 25:8 | 39 |
| ცსკა | 16 | 10 | 3 | 3 | 28:13 | 33 |
| სპარტაკი | 17 | 10 | 3 | 4 | 31:23 | 33 |
| სატურნი | 17 | 8 | 5 | 4 | 23:20 | 29 |
| კრილია | 16 | 8 | 3 | 5 | 20:17 | 27 |
| დინამო | 17 | 8 | 2 | 7 | 22:16 | 26 |
| შინიკი | 18 | 7 | 5 | 6 | 27:24 | 26 |
| როტორი | 17 | 7 | 4 | 6 | 15:14 | 25 |
| ზენიტი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:21 | 22 |
| ურალანი | 18 | 3 | 9 | 6 | 23:27 | 18 |
| ტორპედო | 16 | 4 | 5 | 7 | 19:19 | 17 |
| ანჟი | 17 | 3 | 8 | 6 | 14:25 | 17 |
| ალანია | 16 | 4 | 3 | 9 | 21:27 | 15 |
| ზილ | 16 | 3 | 5 | 8 | 13:26 | 14 |
| როსტსელმაში | 16 | 3 | 4 | 9 | 14:28 | 13 |
| სოკოლი | 17 | 2 | 5 | 10 | 10:19 | 11 |



**ჩინელი** მცველი ფან ჟი შოტლანდიური „დანდის" დატოვებას აპირებს. ჟის თქმით, თუ შოტლანდიელებს ის სჭირდებათ, რისიც ეეჭვება, აუცილებლად დარჩება, თუ არადა, ჩინელი მშობლიურ შანხაის „ზონგუაში" დაბრუნდება. 32 წლის მცველმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ კოსტა რიკასთან ითამაშა პირველი მატჩი. ბრაზილიასთან და თურქეთთან კი ტრავმის გამო არ გასულა. ფან ჟი „დანდიმდე" სამი წელი ინგლისურ „კრისტალ პალასში" თამაშობდა.

**გერმანული** „ვერდერის" ვეტერანი თავდამსხმელი მარკო ბოდე შესაძლოა, პრემიერლიგურ „ფულემში" ვიხილოთ. ოცდაცამეტი წლის თავდამსხმელი, რომელსაც ნახევარდაცვაშიც ძალუძს თამაში, ამ უქმეებზე „ფულემის" თავკაც ჟან ტიგანას გაესაუბრა. მარკო ბოდემ თითქმის მთელი კარიერა ბრემენულ კლუბში გაატარა. „ვერდერში" იგი 1988 წლიდან თამაშობს. წინა სეზონის დასასრულს თავდამსხმელი კლუბიდან შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდა, ახლა კი ინგლისზე ფიქრობს.

**იტალიური** „ბრეშას" ორი ფეხბურთელი ორშაბათ დილას ავტოკატასტროფაში მოჰყვა. მეკარე მატეო სერინის თეძოს საკმაოდ სერიოზული ტრავმა აქვს, თავდამსხმელ იგლი ტარეს კი კლინიკაში მსუბუქი ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს. სერინი სეზონის პირველ მატჩებს გამოტოვებს. ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, ავარიის მიზეზი უცნობია. ტარეს კუთვნილი მანქანა მოულოდნელად დაეჯახებია კედელს. ტარე და სერინი იოლად გადარჩნენ. შარშან ანალოგიურმა შემთხვევამ „ბრეშას" ფეხბურთელი ვიტორიო მერო იმსხვერპლა.

**ინგლისურმა** „მანჩესტერ სიტიმ" შესაძლოა ყოფილი კრისტალპალასელი ჩინელი სუნ ჯიჰაი დაიმატოს. სხვათა შორის, ახალი სეზონი პრემიერლიგაში ჩინელების ნამდვილი მოზღვავებით აღინიშნება — „ევერტონში" ლი ტიე და ლი ვეიფენგი ჩაირიცხენ.

**იტალიურ** „მილანში" რივალდოს გადასვლამ წინა ხაზში მოთამაშეთა შორის დიდი კონკურენცია წარმოშვა. მადრიდის „ატლეტიკო" ანდრეა პირლოს ფულდვით დაინტერესდა და რადგანაც შევჩენკოს, ზეედორფის, ინძაგის და რივალდოსთან შედარებით პირლოს ნაკლები შანსი აქვს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისა, ადვილი შესაძლებელია, იგი „ვისენტე კალდერონზე" გადავიდეს.

# ოსვალდო არდილესი მენოტისთან დაბრუნდა



ოსვალდო არდილესი

## არგენტინა

აპერტურა

**პირველი ტური:** როსარიო სენტრალი — სან ლორენსო 1:0; ინდეპენდიენტე — ლანუსი 2:0; ქალტუდიანტესი — კოლონი 1:1; უნიონი — ბანფილდი 0:0; ნიუელს ჩიკაგო — ბოკა ხუნიორსი 0:0; არსენალი — ოლიმპო 1:0; ურაკანი — რასინგი 1:3; რივერ პლეიტი — ნიუელს ოლდ ბოიზი 0:0; ტალერესი — ხიმნასია ლა პლატა 0:0

**ეს სწორედ** ის არის, რაზეც ვოცნებობდიო — თქვა არგენტინული ფეხბურთის ოდინდელმა ვარსკვლავმა ოსვალდო სესარ არდილესმა, რომელიც ქომაგს არგენტინისა და ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატებიდან ახსოვს.

არდილესის ოცნება კი უკავშირდება აპერტურას ჩემპიონატის დაწყებას, რომლის პირველი ტური ამ უქმეებზე გაიმართა და ლიდერობა, ბურთების უკეთესი სხვაობით, შარშანდელი აპერტურას მომგებმა „რასინგმა" იგდო ხელთ. არდილესი იმით არის ბედნიერი, რომ სწორედ „რასინგის" მწვრთნელია, ამ პოსტზე ის ერთი კვირის წინ დანიშნეს, რეინალდო მერლოს მაგიერ. თავის მხრივ, მერლო ის კაცია, ვინც კლუბს 35-წლიანი ლოდინის მერე, როგორც იქნა, ჯილდო მოაგებინა.

რასინგელთაგან „ურაკანს" გოლები კლაუდიო უბედამ, მაქსიმილიანო ესტევესმა და გილერმო რივაროლამ გაუტანეს. როგორ არ აღვნიშნოთ, რომ 1978 წელს, როცა ოსვალდო არდილესი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, სწორედ „ურაკანის" ფეხბურთელი იყო და მერეღა გადავიდა ინგლისურ „ტოტენჰემ ჰოტსპურში".

ამასობაში ქულები დაკარგეს არგენტინული ფეხბურთის ბობოლებმა, „რივერ პლეიტმა" და „ბოკა ხუნიორსმა". „რივერს" პარაგვაელი მცველი ხელსო აიალა გაუგდეს და ათი კაცით ვერაფერი გააწყო „ნიუელს ოლდ ბოიზთან". ისე, ახალი მწვრთნელი რივერელებსაც ჰყავთ, კლაუსურას მომგებმა რამონ დიასმა დარ ჩენა აღარ ისურვა და გუნდი ჩილელ მანუელ პელეგრინის ჩააბარეს.

არდილესის ძველი დამრიგებლის, ლუის სესარ მენოტის დამოძღვრილმა „როსარიო სენტრალმა" კი 88-ე წუთზე გატანილი გოლით დაამარცხა „სან ლორენსო".

**გიორგი დარჯანია**

## ნორვეგია

მე-16 ტური: ლინი — რუსენბორგი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინი | 15 | 11 | 1 | 3 | 24:17 | 34 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 9 | 2 | 5 | 25:18 | 29 |
| სტაბეკი | 15 | 8 | 4 | 3 | 28:16 | 28 |
| მოლდე | 15 | 8 | 4 | 3 | 24:12 | 28 |
| რუსენბორგი | 15 | 8 | 3 | 4 | 29:18 | 27 |
| ვიკინგი | 15 | 7 | 5 | 3 | 28:18 | 26 |
| ვოლერენგა | 15 | 5 | 5 | 5 | 24:19 | 20 |
| ბრანი | 14 | 6 | 2 | 6 | 20:23 | 20 |
| ლილესტრიომი | 16 | 4 | 4 | 8 | 15:22 | 16 |
| ბოდო გლიმტი | 15 | 4 | 3 | 8 | 22:23 | 15 |
| ბრინი | 15 | 4 | 3 | 8 | 20:28 | 15 |
| მოსი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:26 | 13 |
| სოგნდალი | 14 | 3 | 2 | 9 | 17:32 | 11 |
| სტარტი | 13 | 1 | 4 | 8 | 13:32 | 7 |

## შვედეთი

მე-12 ტური: მალმო — ლანდსკრონა 2:1; აიკ — გოტებორგი 3:0; ნორჩიოპინგი — იურგორდენი 0:1;
იორგრიტე — ელფსბორგი; ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი წუხელ გვიან გაიმართა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმო | 12 | 8 | 0 | 4 | 26:14 | 24 |
| იორგრიტე | 11 | 6 | 4 | 1 | 20:15 | 22 |
| ლანდსკრონა | 12 | 5 | 4 | 3 | 26:18 | 19 |
| იურგორდენი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:15 | 19 |
| იორებრო | 12 | 5 | 4 | 3 | 13:15 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:16 | 17 |
| გოტებორგი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:17 | 16 |
| აიკ | 12 | 3 | 5 | 4 | 19:20 | 14 |
| სუნდსვალი | 12 | 3 | 5 | 4 | 11:12 | 14 |
| კალმარი | 12 | 3 | 4 | 5 | 7:12 | 13 |
| ჰამარბი | 12 | 3 | 3 | 6 | 21:24 | 12 |
| ელფსბორგი | 11 | 2 | 5 | 4 | 10:14 | 11 |
| ჰალმსტადი | 11 | 1 | 7 | 3 | 9:11 | 10 |
| ნორჩიოპინგი | 12 | 2 | 4 | 6 | 9:14 | 10 |

# ცხელი საჩუქარი

## გერმანია

ლიგის თასი

**შალკე 2:0 ლევერკუზენი**

1:0 ვალდოხი (20), 2:0 ჰაიტო (75პ)
შალკე: რესტი, კამფუისი (ასამოა 67), ჰაიტო, ვალდოხი (ვან ჰოოგდალემი 37), მატელანი, პოულსენი, ვერმანტი, ბიომე (კმეტში 46), მოლერი, აგალი, სანდი
ლევერკუზენი: იურიჩი, სებესკენი, კლეინი, ჟუანი პლასენტე, ბალიტში (ვლ კასმი 71), ვრანიეში, ბიროფკა, ბაბიჩი (კირსტენი 46), სიმაკი, ბრდარიჩი
გაფრთხილება: ჰაიტო, მოლერი, ვან ჰოოგდალემი, კლეინი, სებესკენი
მსაჯი: კემლინგი
12 600 მაყურებელი



ლევერკუზენელთა ახალწვეული ჟუანი (მარცხნივ) ეზე სანდთან ვერაფერს გახდა

**მეპენის** ცენტრალურ სტადიონზე 30-გრადუსიან სიცხეში „ლევერკუზენსა" და „შალკეს" შორის გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალური მატჩი გაიმართა.

ფეხბურთელები თამაშს ზანტად შეუდგნენ. დასიცხულებს სირბილი ეზარებოდათ, თხუთმეტი წუთის შემდეგ კი ვითარება შეიცვალა, ტემპერატურამ იკლო, „ლევერკუზენი" გამოცოცხლდა და რამდენიმე სახიფათო მომენტი კი შექმნა მეტოქის კართან, მაგრამ გოლი „შალკემ" გაიტანა. საგოლე კომბინაცია ასე შეიქმნა: ჰაიტომ გრძელი პასით აგალი მოძებნა. ნიგერიელმა კარგ პოზიციაზე მყოფ ვალდოხს გადააწოდა, რომელიც ადვილად გასცდა მეურვე კლეინს და ანგარიში გახსნა.

გოლის შემდეგ „ლევერკუზენი" კვლავ უტევდა, ახალწვეულებმა — ჟუანმა და ბიროფკამ კარგი მომენტები შექმნეს.

„ჩვენ საუკეთესოდ, ორგანიზებულად ვთამაშობდით, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ, მათ კი ერთადერთი შანსი გამოიყენეს" — თქვა პირველი ტაიმის ბოლოს გასახდელისკენ მიმავალმა სებესკენმა.

მეორე ტაიმში ბაიერელთა მწვრთნელმა კლაუს ტოპმოლერმა ბობიჩის ნაცვლად მოედანზე ულფ კირსტენი შეუშვა, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა, პირველი ტაიმის მსგავსად, „ლევერკუზენი" უტევდა, გოლი კი ისევ „შალკემ" გაიტანა. 74-ე წუთზე „ბაიერის" საჯარიმოში შეჭრილი აგალი ლევერკუზენელთა ავსტრალიელმა მეკარე იურკმა აკრძალული ხერხით შეაჩერა და თერთმეტმეტრიანი ჰაიტომ ზუსტად დაარტყა.

... იმ დღეს გელზენკირხენელთა ახალდანიშნულ მწვრთნელ ფრანკ ნეიბოტს 40 წელი შეუსრულდა.

„დაბადების დღისთვის ამაზე კარგი საჩუქარი რა უნდა იყოს — ხარობდა იუბილარი გამარჯვების შემდეგ — ეს მოგება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა და გუნდის მომზადებითაც უკმაყოფილო ვიყავი."

„წავაგეთ, ფეხბურთელები დაბნეულები ჩანდნენ, მაგრამ დაკარგული არაფერია, მოვემზადებით და ბუნდესლიგას წარმატებით დავიწყებთ" — განაცხადა ტოპმოლერმა.

„ლევერკუზენმა", დამარცხების მიუხედავად, ნახევარფინალში თამაშისთვის 511 ათასი ევრო ჩაიჯიბა, „შალკეს" კი ფინალში გასვლისთვის 890 ათასი ევროთი დააჯილდოებენ.

**ლუკა ბეგეთქორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხაელ ბალაკზე ამბობენ, რომ გერმანული ფეხბურთის ახალი თაობის ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელია. ის ჩნდება ყოველთვის იქ, სადაც საჭიროა და ძალიან მნიშვნელოვანი გოლები გააქვს, ის გუნდის სული და გულია, თითქმის შეუცვლელია, როგორც ნაკრებისთვის, ასევე კლუბისთვის.

წინა სეზონში მას ოთხი ტურნირი შეეძლო მოგებო, თუმცა ყველგან თითო ნაბიჯი დააკლდა —ბოლო ტურში დათმო ბუნდესლიგის ჩემპიონობა, წააგო გერმანიის თასის, ჩემპიონთა ლიგისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალები (ბრაზილიასთან დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია).

სამაგიეროდ, ბალაკს ერთ რამეში მაინც გაუმართლა. ახალ სეზონს გერმანიის უძლიერეს გუნდში დაიწყებს. მიხაელ ბალაკს ამიერიდან „ლევერკუზენის" ნაცვლად მიუნხენის „ბაიერნის" ფორმა ეცმევა.



# ვერცხლში ჩამხრჩვალი

## მიხაელ ბალაკს ბუნდესლიგამ შვილი დაავიწყა

**— უკვე რამდენიმე დღეა „ბაიერნთან" ერთად ვარჯიშობთ, როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება ახალ კლუბზე?**

— ჯერ რაც შევამჩნიე ყველაფერი შესანიშნავადაა. გუნდი თავიდან ბოლომდე ორგანიზებულია. „ლევერკუზენისგან" განსხვავებით აქ გულშემატკივრისგან და მასმედიისგანაც ინტერესიც გაცილებით მეტია. ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა თანაგუნდელების გულთბილმა შეხვედრამ. მერწმუნეთ, მათთან ურთიერთობის აწყობის პრობლემა არ მექნება, თუმცა ჯერჯერობით მოედნის მიღმა მეგობრული ურთიერთობისთვის დრო ვერ ვიხელთე.

**— სამკვირიანი არდადეგები გქონდათ და ამაზე უფრო ნაკლები რჩება ახალი სეზონის დაწყებამდე. საკმარისი დროა დასვენებისთვის და ახალი სეზონისთვის მზადებისთვის?**

— შესაძლოა, ძალის ბოლომდე აღსადგენად დრო არც კმაროდეს, მაგრამ ჩვენ, ფეხბურთელები ვერაფერს გავხდებით, გრაფიკს ჩვენ არ გვითანხმებენ. განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს გვიჭირს, თორემ სხვები კიდევ როგორღაც მოასწრებდნენ დასვენებას. შვებულების შემდეგ ფორმის აღსადგენად კი ისევ თამაში და დროა საჭირო. ვგონებ, ბოლომდე მზად ორი ან სამი ტურის შემდეგ ვიქნები.

**— წინა სეზონის ბოლოს მცირე ტრავმა მიიღეთ, რომელიც მუნდიალის დროსაც გაწუხებდათ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— საბედნიეროდ, ახლა როცა ვარჯიში განვაახლე, ვგრძნობ, რომ არაფერი მაწუხებს. სამკვირიანი დასვენება დამეხმარა, ჩემი ტრავმა ხომ უპირველესად გადაღლის შედეგი იყო.

**— „ბაიერნში" უკვე ითამაშეთ სადებიუტო მატჩი. კმაყოფილი ხართ „ფეროლის" წინააღმდეგ ჩატარებული 45 წუთით?**

— კმაყოფილებაზე მეტად ბედნიერი ვარ, რომ „ბაიერნის" მაისურით პირველად ვითამაშე, თუნდაც ამხანაგურ მატჩში. ისე ამ მატჩამდე მხოლოდ სამი დღით ადრე დავიწყე ვარჯიში. მანამდე როგორც ვთქვი, აქტიურად ვისვენებდი. ახლა ძალიან მინდა, რომ სეზონი მალე დაიწყოს.

**— „ლევერკუზენში" წარმატებული კარიერა გქონდათ. ყველა ფრონტზე რაღაც წარმატება მოიპოვეთ...**

— კი, თუმც ნამდვილ გამარჯვებამდე ყოველთვის ერთი ნაბიჯი მაკლდებოდა. ახლა მინდა, რომ თასები მოვიგო და არა ვერცხლის მედლები. ვერცხლი უკვე ბლომად დამიგროვდა. „ბაიერნში" ცხადია, უფრო დიდი შანსი მექნება წარმატების მისაღწევად და ჩემი სურვილია, საერთო გამარჯვებაში წვლილი შევიტანო. „ბაიერნს" მომავალ სეზონში ძალიან ძლიერი გუნდი ეყოლება.

**— „ლევერკუზენს" რას უწინასწარმეტყველებთ მომავალ სეზონში?**

— მიუხედავად იმისა, რომ გუნდი მე და ზე რობერტომ დავტოვეთ, მაინც მგონია, რომ ბიჭები თავისას იტყვიან. იქ ხომ წარმატების მთავარი გარანტი, კლაუს ტოპმოლერი დარჩა. ის აუცილებლად მოახერხებს იმ ფეხბურთელების შეკავშირებას, ვინც დარჩნენ და ვინც „ლევერკუზენში" ახლა მივიდა. ამიტომაც მგონია, რომ „ლევერკუზენი" კვლავ მწვერვალისთვის იბრძოლებს.

**— ახლა რას უფრო მოუთმენლად ელით: მეორე ბავშვის დაბადებას თუ ახალი სეზონის დაწყებას?**

— წესით ბუნდესლიგა უფრო ადრე უნდა დაიწყოს... ამიტომ მთელი ყურადღება ახლა აქეთ მაქვს მიმართული. ბავშვს სექტემბრის ბოლოს ველოდები, მანამდე კი ბუნდესლიგაში რამდენიმე ტური უკვე ჩატარებული იქნება.

**თარგმნა ნიკა შუბლაძემ**

# ერთი, ორი, სამი. გაყიდულია!

## დე ლა პენია ლაციოს ჩაქუჩს უმზადებს

**ყველაფერი** იქით მიდის, რომ რომის სასამართლოში მალე ახალი საქმის განხილვა დაიწყება სახელწოდებით — ივან დელა პენია „ლაციოს" წინააღმდეგ. ფეხბურთელი კლუბისგან იმ 4 მილიონ ევროს ითხოვს, რომელიც მას კანონიერად ერგება. საქმე ისაა, რომ ესპანელმა ნახევარმცველმა გარკვეული პერიოდი „ლაციოში" ითამაშა, რის გამოც მისთვის, ცხადია, კუთვნილი ჯამაგირი უნდა გადაეხადათ, მაგრამ იტალიელებმა რატომღაც გადაწყვიტეს, ესპანელი ანაზღაურების გარეშე დაეტოვებინათ.



ივან დე ლა პენია

დაითვალეს, რომ ღრმა კრიზისში მყოფ რომაულ კლუბს ჯამში 37 მილიონი ევრო ვალი დაუგროვდა. აქედან 10 მილიონი ევრო კლუბს მოთამაშეებისა მართებს, დანარჩენი კი, სხვა კრედიტორებისა.

გრძელი სიაა, და ქვემოთ მხოლოდ ყველაზე თვალში საცემი ვალები ჩამოვთვალოთ: აქამდე „ლაციოში" კონტრაქტით შესრულებული სამუშაოსთვის კუთვნილ თანხებს ჯერაც უშედეგოდ ელიან ალბერტო ძაკერონი, დინო ძოფი, მარსელო სალასი, რომელიც, სხვათა შორის, უკვე ერთი სეზონია, რაც „იუვენტუსში" გადავიდა, ასევე პრაღის „სპარტაში" გადაბარგებული კარელ პობორსკი.

ივან დელა პენიამ, ამათგან განსხვავებით, ხმა აიმაღლა და კუთვნილის სასამართლოთი დაბრუნება გადაწყვიტა. ესპანელის ადვოკატები განმარტავენ, რომ თუ „ლაციო" გაჯიუტდება და ხელფასის გადახდას კვლავაც იუარებს, ისინი სასამართლოსგან კლუბის ბანკროტად გამოცხადებას მოითხოვენ, რათა კაპიტალის საჯარო აუქციონზე გაყიდვით ყველა დავალიანება დაიფაროს.

ძაკერონი, ძოფი, სალასი და პობორსკი ამ ულტიმატუმზე მხარის აბმას ჯერჯერობით ერიდებიან, თუმცა, ალბათ, ამის დროც მოვა.

ამ საერთო გაჭირვებას ერთვის ისიც, რომ „ლაციოს" იტალიის საფეხბურთო ლიგისაც მართებს ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა. ხსენებულ კრიზისზე ადრეც ვწერდით. ანალოგიურ ვითარებაში დედაქალაქის მეორე კლუბი „რომაც" აღმოჩნდა, თუმცა მისი კრიზისი ნაკლებად თვალში საცემია.

„ლაციოს" კი, ალბათ, აუცილებლად მოუწევს რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გაყიდვა, რათა შემოსული ფულით დავალიანება დაფაროს, ოღონდ ესეცაა, წლევანდელი სატრანსფერო უძრაობის გამო სერჯო კრანიოტის ლამის ნახევარი გუნდის გაშვება მოუწევს, თორემ ერთი ფეხბურთელის ტრანსფერი ვალებს სრულად ვერ გაუსტუმრებს.

აი, შარშანდელი ზაფხული რომ იყოს, იცოცხლეთ, მარტო ალესანდრო ნესტას ტრანსფერი გაასწორებდა ყველა ანგარიშს. ახლა კი ყველას უჭირს. ფული არ არის, თუმც მწვრთნელი რობერტო მანჩინი ფეხბურთელებს მაინც ამზადებს ახალი სეზონისთვის.

სეზონისწინა მზადება რომაელებმა ინგლისში გააგრძელეს, სადაც ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ — ამათგან პირველი, „ლივერპულთან", გუშინ გაიმართა.

წინა უქმეებზე კი რომაულმა კლუბმა ასევე ამხანაგურ მატჩში „სალერნოს" სძლია 6:0.

**ნიკა შუბლაძე**



# ვინფრიდ შეფერი დაათრო და გააბრუა იამა

**კამერუნელები** ნაკრების გერმანელ მწვრთნელ ვინფრიდ შეფერს თანამდებობაზე ტოვებენ, ოღონდ ხელფასს უმცირებენ. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე აფრიკის ამ ქვეყანამ განსაკუთრებული ვერაფერი აჩვენა, არადა, ქომაგები მისგან სწორედაც განსაკუთრებულ შედეგს ელოდნენ.

„არ ვეთანხმები იმ ხალხს, ვინც ამბობს, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელი მოგვეცარა — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ია მუპამედმა სატელევიზიო დებატებში გამოსვლისას — ვინფრიდ შეფერის შედეგი დამაკმაყოფილებელი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ცუდსაც ვერ ვუწოდებ. შეფერის ხელმძღვანელობით გუნდმა 20 შეხვედრა გამართა და აქედან მხოლოდ ორი წააგო. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ყოველი მარცხის შემდეგ ყველაფრის თავიდან დაწყება შეცდომაა."

როგორც ხედავთ, მწვრთნელს შეფმა მხარი დაუჭირა, მაგრამ იმავდროულად დასძინა, რომ გერმანელის ჯამაგირი, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია და კამერუნის მთავრობა ერთდროულად იხდიდა, 20-30 პროცენტით შემცირდება.

აღსანიშნავია, რომ შეფერი კამერუნის ნაკრების თავკაცად 2001 წლის ოქტომბერში დაინიშნა. მან ადგილობრივი სპეციალისტი ჟან-პოლ აკონო შეცვალა. აკონოს, იმხანად, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ანგოლასთან მარცხის გამო მწვავედ აკრიტიკებდნენ.

შეფერის ხელმძღვანელობით, მალიში გამართულ აფრიკის ერთვნებათა თასზე, კამერუნელებმა კონტინენტის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. ეს ამ ქვეყნის ზედიზედ მეორე გამარჯვება გახლდათ ხსენებულ შეჯიბრებაში, რასაც ინგლისთან და არგენტინასთან ამხანაგურ მატჩებში ნათამაშევი ფრეები დაემატა და „მოუთვინიერებელი ლომები" მსოფლიოს პირველობის ლამის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნიეს.

ფავორიტი, ფიფას რეიტინგ-ლისტში, აფრიკულ ნაკრებთა შორის პირველ ადგილზეც გახლდათ, მაგრამ იაპონიასა და კორეაში გაგორდა თუ არა ბურთი, ცხადი გახდა, რომ მოლოდინი შესაძლებლობას აღემატება: 1:1 ირლანდიასთან, 1:0 საუდის არაბეთთან და 0:2 შეფერის სამშობლოსთან, გერმანიასთან.

„წარსულში დაშვებულმა შეცდომებმა არ უნდა გაგვხლიჩოს. ყოველ წუთს მწვრთნელის შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ დამარცხებებს მოგვიტანს. ჩვენი და ნაკრების თავკაცის შეთანხმებული მუშაობა მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც კამერუნის ფეხბურთის ფედერაციას შეფერთან კონტრაქტის გაგრძელება სურს" — დასძინა ია მუპამედმა.

მუპამედმა დასძინა, მანჩესტერში მიმდინარე თანამეგობრობის თამაშებიდან დაბრუნებისთანავე კამერუნის სპორტის მინისტრი ბიდუნგ მპკატი შეფერს ახალ ხელშეკრულებას გაუფორმებსო. 52 წლის შეფერი კი აცხადებს, რომ წინადადებით კმაყოფილია და მიზნად, ჯერ 2004 წელს, ტუნისში აფრიკის ერთვნებათა თასზე გამარჯვებას, შემდეგ კი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე მოხვედრას ისახავს.

**ბაჩუნა ძიდია**



წინა სეზონში თელ ავივის „მაკაბი" „მილანს" ნიქოზიაში გაეჭიბრა და კვიპროსულ პოლიციას საქმე გაუჩინა

# ფეხბურთი და თოფი

**ისრაელის** გუნდმა, ჰაიფას „მაკაბიმ" ბოლოს და ბოლოს, კვიპროსზე ჩასვლის ნებართვა მიიღო. დაბრკოლებას კვიპროსის აეროპორტში უსაფრთხოების ზომების გამო ატეხილი დისკუსია ქმნიდა. კერძოდ, „მაკაბის" სურდა, მოგზაურობისას შეიარაღებული რაზმი ხლებოდა, რაც კვიპროსელ სამართალდამცავებს აღიზიანებდათ და უარსეუბნებოდნენ, თუმცა, ჰაიფელთა განცხადებით, ისრაელის უსაფრთხოების სააგენტოს „შინ ბეტის" წარმომადგენლებმა და კვიპროსის მხარემ საერთო ენა მაინც გამონახეს.

ახლა იმაზე თუ რა უნდა „მაკაბის" კვიპროსზე. საქმე ის გახლავთ, რომ ჰაიფელებს ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე კონფსისყრამ მეტოქედ ბელარუსის „ბელშინა" არგუნათ, ხოლო უეფამ სამასპინძლოდ კვიპროსი შეურჩიათ — მოგეხსენებათ, ისრაელში ბოლოხანს მდგომარეობა გამწვავებულია და, შესაბამისად, იქ ფეხბურთის თამაშს ერიდებიან. ამიტომ, შეხვედრა ნიქოზიაში, GSP-ს სტადიონზე გაიმართება.

„ისრაელისა და კვიპროსის მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკების დეტალებზე საუბრის უფლება არ მაქვს, თუმცა ეს საინტერესოც არ არის. მთავარია, რომ „მაკაბი" ითამაშებს" — განაცხადა ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გავრი ლევიმ, რომელმაც დასძინა, მოლაპარაკებაში ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი და საგარეო საქმეთა მინისტრი შიმონ პერესიც იყვნენ ჩარეულნიო.

აღსანიშნავია, რომ ამ საფეხბურთო მოხელის განცხადებას ისრაელისა და კვიპროსის ხელისუფლებმა კომენტარი არ გაუკეთეს. მიღწეულით კმაყოფილება მხოლოდ ისრაელის კულტურისა და სპორტის მინისტრმა ნათან ვილნაიმ გამოხატა.

დავძინოთ, რომ კვიპროსზე თამაში მხოლოდ „მაკაბის" არ ხვდომია წილად. უეფამ ისრაელის ყველა გუნდს საერთაშორისო შეხვედრების აქ გამართვა მოსთხოვა.

**ბაჩუნა ძიდია**

# შოტლანდია. პრემიერლიგა 2002-2003

მომავალ უქმეებზე ანუ სამ დღეში სქოთური პრემიერლიგა იწყება თავისი „სელტიკ" — „რეინჯერსის" მარადიული დაპირისპირებითა და არველაძე-ნემსაძე-ხიზანიშვილით.

მოგეხსენებათ, სქოთებს თავისებური კალენდარი აქვთ. პრემიერლიგის თორმეტი გუნდი სამნახევარ წრედ თამაშობს. ეს ნიშნავს, რომ სამ წრეს ანუ ოცდაცამეტ ტურს ჩვეულებრივ ატარებენ, მერე ზე და ქვე ექვსეულებად იყოფიან და იქაც ერთ წრედ ხვდებიან ერთმანეთს, რაც ჯამში ოცდათვრამეტ ტურს შეადგენს.

ცხადი მიზეზის გამო, აქ მხოლოდ ოცდაცამეტი ტურის განრიგის წარმოდგენის საშუალება გვაქვს. ჩემპიონატის დაწყებამდე კი სქოთურ პრემიერლიგას ერთხელაც მივუბრუნდებით და თორმეტივე გუნდის ახალსასეზონო ამბიციაზე მოგითხრობთ.

**I ტური, 3 აგვისტო. შაბათი**
- სელტიკი — დანფერმლაინი
- დანდი — ჰარტსი
- ჰიბერნიანი — აბერდინი
- კილმარნოკი — რეინჯერსი
- ლივინგსტონი — მოზერუელი
- პარტიკი — დანდი

**II ტური, 10 აგვისტო. შაბათი**
- აბერდინი — სელტიკი
- დანდი — კილმარნოკი
- დანფერმლაინი — ლივინგსტონი
- ჰარტსი — ჰიბერნიანი
- მოზერუელი — პარტიკი
- რეინჯერსი — დანდი

**III ტური, 17 აგვისტო. შაბათი**
- სელტიკი — დანდი
- დანფერმლაინი — დანდი
- ჰიბერნიანი — რეინჯერსი
- კილმარნოკი — მოზერუელი
- პარტიკი — ლივინგსტონი

**18 აგვისტო. კვირა**
- აბერდინი — ჰარტსი

**IV ტური, 24 აგვისტო. შაბათი**
- დანდი — ჰიბერნიანი
- ჰარტსი — დანფერმლაინი
- ლივინგსტონი — კილმარნოკი
- პარტიკი — სელტიკი

**25 აგვისტო. კვირა**
- დანდი — მოზერუელი
- რეინჯერსი — აბერდინი

**V ტური, 31 აგვისტო. შაბათი**
- დანდი — დანდი
- დანფერმლაინი — რეინჯერსი
- ჰარტსი — კილმარნოკი
- მოზერუელი — ჰიბერნიანი

**1 სექტემბერი. კვირა**
- აბერდინი — პარტიკი
- სელტიკი — ლივინგსტონი

**VI ტური, 11 სექტემბერი. ოთხშაბათი**
- აბერდინი — დანდი
- დანდი — ლივინგსტონი
- ჰიბერნიანი — დანფერმლაინი
- კილმარნოკი — პარტიკი
- მოზერუელი — სელტიკი
- რეინჯერსი — ჰარტსი

**VII ტური, 14 სექტემბერი. შაბათი**
- სელტიკი — ჰიბერნიანი
- დანდი — დანფერმლაინი
- ჰარტსი — მოზერუელი
- კილმარნოკი — აბერდინი
- ლივინგსტონი — რეინჯერსი
- პარტიკი — დანდი

**VIII ტური, 21 სექტემბერი. შაბათი**
- დანდი — სელტიკი
- დანფერმლაინი — მოზერუელი
- ჰარტსი — დანდი
- ჰიბერნიანი — კილმარნოკი
- ლივინგსტონი — აბერდინი

**22 სექტემბერი. კვირა**
- რეინჯერსი — პარტიკი

**IX ტური, 28 სექტემბერი. შაბათი**
- აბერდინი — დანფერმლაინი
- სელტიკი — კილმარნოკი
- დანდი — რეინჯერსი
- ჰიბერნიანი — ლივინგსტონი
- მოზერუელი — დანდი
- პარტიკი — ჰარტსი

**X ტური, 5 ოქტომბერი. შაბათი**
- დანდი — კილმარნოკი
- დანფერმლაინი — პარტიკი
- ჰიბერნიანი — დანდი
- ლივინგსტონი — ჰარტსი
- მოზერუელი — აბერდინი

**6 ოქტომბერი. კვირა**
- სელტიკი — რეინჯერსი

**XI ტური, 19 ოქტომბერი. შაბათი**
- აბერდინი — დანდი
- დანდი — ლივინგსტონი
- ჰარტსი — სელტიკი
- კილმარნოკი — დანფერმლაინი
- პარტიკი — ჰიბერნიანი
- რეინჯერსი — მოზერუელი

**XII ტური, 26 ოქტომბერი. შაბათი**
- აბერდინი — ჰიბერნიანი
- დანდი — პარტიკი
- დანფერმლაინი — სელტიკი
- ჰარტსი — დანდი
- მოზერუელი — ლივინგსტონი
- რეინჯერსი — კილმარნოკი

**XIII ტური, 2 ნოემბერი. შაბათი**
- სელტიკი — აბერდინი
- დანდი — რეინჯერსი
- ჰიბერნიანი — ჰარტსი
- კილმარნოკი — დანდი
- ლივინგსტონი — დანფერმლაინი
- პარტიკი — მოზერუელი

**XIV ტური, 9 ნოემბერი. შაბათი**
- დანდი — სელტიკი
- ჰარტსი — აბერდინი
- ლივინგსტონი — პარტიკი
- მოზერუელი — კილმარნოკი
- რეინჯერსი — ჰიბერნიანი

**10 ნოემბერი. კვირა**
- დანდი — დანფერმლაინი

**XV ტური, 16 ნოემბერი. შაბათი**
- აბერდინი — რეინჯერსი
- სელტიკი — პარტიკი
- დანფერმლაინი — ჰარტსი
- ჰიბერნიანი — დანდი
- კილმარნოკი — ლივინგსტონი
- მოზერუელი — დანდი

**XVI ტური, 23 ნოემბერი. შაბათი**
- დანდი — დანდი
- ჰიბერნიანი — მოზერუელი
- კილმარნოკი — ჰარტსი
- ლივინგსტონი — სელტიკი
- პარტიკი — აბერდინი
- რეინჯერსი — დანფერმლაინი

**XVII ტური, 30 ნოემბერი. შაბათი**
- სელტიკი — მოზერუელი
- დანდი — აბერდინი
- დანფერმლაინი — ჰიბერნიანი
- ჰარტსი — რეინჯერსი
- ლივინგსტონი — დანდი
- პარტიკი — კილმარნოკი

**XVIII ტური, 4 დეკემბერი. ოთხშაბათი**
- აბერდინი — კილმარნოკი
- დანდი — პარტიკი
- დანფერმლაინი — დანდი
- ჰიბერნიანი — სელტიკი
- მოზერუელი — ჰარტსი
- რეინჯერსი — ლივინგსტონი

**XIX ტური, 7 დეკემბერი. შაბათი**
- აბერდინი — მოზერუელი
- დანდი — ჰიბერნიანი
- ჰარტსი — ლივინგსტონი
- კილმარნოკი — დანდი
- პარტიკი — დანფერმლაინი
- რეინჯერსი — სელტიკი

**XX ტური, 14 დეკემბერი. შაბათი**
- დანდი — მოზერუელი
- დანფერმლაინი — აბერდინი
- ჰარტსი — პარტიკი
| 23.45 | 2016 | ფულემი-სოშო | 1,65 | 1,85 |
| 24.00 | 2017 | ვილიარეალი-ტროა | 1,6 | 1,9 |
| 24.00 | 2018 | მალაგა-ტილბურგი | 1,35 | 2,6 |
| 01.00 | 2019 | ბოავიშტა(პორ)-ჰიბერნიანსი(მალ) | 1,01 | 10,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ნორვეგია. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. XVII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მ | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 31.07.02 | 22.00 | 146 | 1:2სტაბეკი; 3:4ბრინი; ვოლერენგა2:2 **ბოდიო გლიმტი** V **სტარტი** 2:5სტაბეკი; ვოლერენგა2:7; 1:3ბრინი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,05 | : : | [illegible] | | |
| 31.07.02 | 22.00 | 147 | ვოლერენგა2:0; მოსი0:4; 0:3როზენბორგი **სოგნდალი** V **მოლდე** 0:0ვიკინგი; ოდ გრენლანდი0:0; 1:4ბრანი | 3,3 | 3,3 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 | : : | 2:3 3:4 | | |
| 31.07.02 | 22.00 | 148 | ბოდიო გლიმტი2:1; 2:0ვოლერენგა; სტარტი5:2 **სტაბეკი** V **მოსი** 0:2ოდ გრენლანდი; ბრანი0:1; 4:0სოგნდალი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 | : : | 3:1 2:1 | 1:1 2:0 | 3:1 0:2 |
| 01.08.02 | 22.00 | 150 | მოლდე0:0; 2:0როზენბორგი; ლილესტრიომი3:1 **ვიკინგი** V **ლინი** როზენბორგი2:3; 1:0ლილესტრიომი; ბრინი1:0 | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 | : : | 1:1 2:0 | - | - |
| 01.08.02 | 22.00 | 151 | 1:0მოსი; მოლდე4:1; 1:0ლილესტრიომი **ბრანი** V **როზენბორგი** 3:2ლინი; ვიკინგი0:2; 3:1ოდ გრენლანდი | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,6 | 1,2 | 1,2 | : : | 3:3 2:6 | 4:4 1:1 | 3:2 2:1 |

| N | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლინი (11) | | 3:0 | 15.09 | 3:1 | 2:3 | 27.10 | 24.08 | 06.10 | 2:0 | 3:1 | 1:0 | 11.08 | 1:0 | 1:0 | 15 | 11 | 1 | 3 | 24:17 | 34 | 7 | 0 | 1 | 16:5 | 21 | 4 | 1 | 2 | 8:12 | 13 |
| 2 | ოდ გრენლანდი სკიენი (6) | 20.10 | | 25.08 | 1:1 | 1:3 | 2:0 | 11.08 | 15.09 | 3:1 | 2:3 | 3:1 | 2:0 | 4:2 | 2:0 | 16 | 9 | 2 | 5 | 25:18 | 29 | 6 | 1 | 2 | 20:11 | 19 | 3 | 1 | 3 | 5:7 | 10 |
| 3 | სტაბეკი ბეკესტუა (4) | 5:0 | 1:0 | | 20.10 | 0:0 | 01.09 | 0:0 | 18.08 | 29.09 | 2:1 | 2:1 | : | 4:0 | 5:2 | 15 | 8 | 4 | 3 | 28:16 | 28 | 6 | 2 | 0 | 19:4 | 20 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| 4 | მოლდე (5) | : | 0:0 | 1:0 | | 18.08 | 3:0 | 2:0 | 2:0 | 0:0 | 06.10 | 25.08 | 5:1 | 27.10 | 15.09 | 15 | 8 | 4 | 3 | 24:12 | 28 | 5 | 2 | 0 | 13:1 | 17 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 11 |
| 5 | როზენბორგი ტრონჰეიმი (1) | 5:1 | 0:1 | 06.10 | 3:0 | | 0:2 | 15.09 | 27.10 | : | 4:3 | 11.08 | 25.08 | 3:0 | 4:2 | 15 | 8 | 3 | 4 | 29:18 | 27 | 5 | 0 | 2 | 19:9 | 15 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 12 |
| 6 | ვიკინგი სტავანგერი (3) | : | 06.10 | 3:3 | 0:0 | 2:0 | | 4:1 | 4:1 | 3:1 | 25.08 | 20.10 | 4:1 | 15.09 | 11.08 | 15 | 7 | 5 | 3 | 28:18 | 26 | 5 | 2 | 0 | 20:7 | 17 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 9 |
| 7 | ვოლერენგა ოსლო (დ) | 1:2 | 2:0 | 0:2 | 29.09 | 0:0 | 18.08 | | : | 01.09 | 1:1 | 14.08 | 3:1 | 2:0 | 20.10 | 15 | 5 | 5 | 5 | 24:19 | 20 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 11 | 2 | 3 | 3 | 15:13 | 9 |
| 8 | ბრანი ბერგენი (7) | 1:1 | 1:3 | 4:1 | 4:1 | : : | 29.09 | [illegible] | | 20.10 | 11.08 | 1:2 | 0:1 | 25.08 | 11.09 | 14 | 6 | 2 | 6 | 20:23 | 20 | 2 | 1 | 4 | 11:13 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:10 | 13 |
| 9 | ლილესტრიომი (2) | 0:1 | 27.10 | 1:2 | 11.08 | 0:1 | 2:0 | [illegible] | 0:1 | | 15.09 | 2:1 | 1:1 | 06.10 | 25.08 | 16 | 4 | 4 | 8 | 15:22 | 16 | 2 | 2 | 4 | 7:8 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | 8 |
| 10 | ბოდიო გლიმტი ბოდიო (9) | 01.09 | 18.08 | 2:0 | 0:2 | 29.09 | 0:0 | [illegible] | [illegible] | 0:1 | | 4:0 | 20.10 | : | : | 15 | 4 | 3 | 8 | 22:23 | 15 | 2 | 2 | 3 | 8:6 | 8 | 2 | 1 | 5 | 14:17 | 7 |
| 11 | ბრინი (12) | 0:1 | 29.09 | : | 0:2 | 2:1 | 3:3 | [illegible] | 01.09 | 1:1 | 4:3 | | 0:0 | 18.08 | 3:1 | 15 | 4 | 3 | 8 | 20:28 | 15 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 12 | 1 | 0 | 6 | 7:16 | 3 |
| 12 | მოსი (10) | 0:2 | 0:1 | 27.10 | 01.09 | 2:2 | : | 06.10 | 0:1 | 18.08 | 1:0 | 15.09 | | 3:3 | 0:2 | 15 | 3 | 4 | 8 | 15:26 | 13 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 | 2 | 2 | 4 | 9:15 | 8 |
| 13 | სოგნდალი (8) | 29.09 | 01.09 | 11.08 | : | 20.10 | 0:2 | 2:0 | 2:3 | 5:2 | 0:2 | 3:2 | 0:4 | | 0:0 | 14 | 3 | 2 | 9 | 17:32 | 11 | 3 | 1 | 4 | 12:15 | 10 | 0 | 1 | 5 | 5:17 | 1 |
| 14 | სტარტი (დ) | 18.08 | : | 1:1 | 0:4 | 01.09 | 1:1 | 2:7 | 2:2 | 0:2 | 27.10 | 06.10 | 29.09 | 14.08 | | 13 | 1 | 4 | 8 | 13:32 | 7 | 0 | 3 | 3 | 6:17 | 3 | 1 | 1 | 5 | 7:15 | 4 |

## ავსტრია. ბუნდესლიგა. 2001-02. V ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მ | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 31.07.02 | 22.00 | 103 | 0:1პაშინგი; შტურმი1:2; 0:1ადმირა **ზალცბურგი** V **ავსტრია** გრაცერი3:0; 1:1კერნტენი; რიდი2:0 | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,65 | 1,2 | 1,2 | - | 0:0 1:0 1:0 0:1 | 1:3 2:0 1:1 4:1 | 0:2 0:1 2:2 2:1 |
| 31.07.02 | 22.30 | 104 | 1:0ბრეგენცი; ადმირა1:2; 4:0შტურმი **რაპიდი** V **პაშინგი** ზალცბურგი1:0; 2:0გრაცერი; კერნტენი3:0 | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 | - | - | - | - |
| 31.07.02 | 22.30 | 105 | 0:2შტურმი; ბრეგენცი1:1; 0:2ავსტრია **რიდი** V **ადმირა** კერნტენი0:3; 2:1რაპიდი; ზალცბურგი1:0 | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 | - | 2:3 2:0 0:0 3:1 | 3:2 5:0 0:1 0:0 | - |
| 04.08.02 | 19.30 | 106 | 3:0ადმირა; ავსტრია1:1; 0:3პაშინგი **კერნტენი** V **გრაცერი** 0:3ავსტრია; პაშინგი0:2; 2:2ბრეგენცი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 | - | 0:5 3:2 1:0 0:3 | - | - |

| N | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პაშინგი (დ) | | 11.09 | 19.10 | 09.11 | 24.08 | 3:0 | 07.08 | 02.11 | 28.09 | 1:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 2 | ავსტრია ვენა (4) | 14.09 | | 07.08 | 02.11 | 09.11 | 28.09 | 24.08 | 2:0 | 3:0 | 19.10 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 3 | რაპიდი ვენა (8) | : | 26.10 | | 21.09 | 1:2 | 06.11 | 05.10 | 11.09 | 17.08 | 31.08 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 4 | შტურმი გრაცი (2) | 31.08 | 17.08 | 0:4 | | 26.10 | 14.09 | : | 2:0 | 06.11 | 28.09 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 5 | ადმირა მიოდლინგი (10) | 06.11 | 31.08 | 28.09 | 07.08 | | 0:3 | 02.11 | 19.10 | 14.09 | 1:0 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 6 | კერნტენი (5) | 21.09 | 1:1 | 24.08 | 11.09 | 05.10 | | 09.11 | 07.08 | : | 02.11 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 7 | ბრეგენცი ბრეგენცი (7) | 26.10 | 06.11 | 0:1 | 19.10 | 17.08 | 31.08 | | 28.09 | 2:2 | 14.09 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 8 | რიდი ინკრაისის რიდი (9) | 17.08 | 21.09 | 14.09 | 05.10 | : | 26.10 | 1:1 | | 31.08 | 06.11 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| 9 | გრაცერი გრაცი (3) | 0:2 | 05.10 | 02.11 | 24.08 | 11.09 | 19.10 | 21.09 | 09.11 | | 07.08 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| 10 | ზალცბურგი ზალცბურგი (6) | 05.10 | : | 09.11 | 1:2 | 21.09 | 17.08 | 11.09 | 24.08 | 26.10 | | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| **ხელვაჩაური** | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| **ოზურგეთი** | გურიის ქუჩა №23 | |
| **გურჯაანი** | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| **ფოთი** | რკალი, რუსთაველის №18 | |
| **საგარეჯო** | დავით ალმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 | |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| **ახმეტა** | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| **ზესტაფონი** | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| **ახალციხე** | ნათენაძის ქუჩა №7 | |

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები**

სარფი, საბაჟო პუნქტის პირდაპირ

ქობულეთი, სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია

# დავიღალე, დენვერში მინდა!

## ჰავაიკიკი: ცქიტიშვილი ბურთით და უბურთოდ

*მთელი სეზონს ნავარჯიშევ და სოლტ ლეიკ სიტიში მოღლილ ნიკა ცქიტიშვილს ყველაზე მეტად ახლა დასვენებას სჭირდება. ლიგისა და ამპლუის გამოცვლამ ქართველს დიდი ძალები წაართვა. საშინლად გადავიღალე, ასე და ამდენი არასდროს მირბენიაო, გვკითხა ნიკამ გუშინ. ბოლო თამაშში ქართველს ისიც კი უფიქრია, მწვრთნელს შეცვლას ვთხოვო, თუმც ველარ გაუბედავს...*

*თუ დენვერელი ახალბედების უმრავლესობა ახლა შვებულებაშია და სოლტ ლეიკ სიტიში „ნატანჯ" სხეულს მშობლიურ მხარესა თუ ამერიკის პლაჟებზე ასვენებს, ცქიტიშვილი კვლავაც დენვერშია და ვარჯიშობს. ოღონდ თავისუფალი დრო იმდენი რჩება, დისნეილენდში გასეირნებისთვისაც იცლის*




ნიკა ცქიტიშვილმა სხვა თამაშებისა და დისნეილენდისთვისაც მოიცალა

**— საზაფხულო ლიგის ბოლო ორი მატჩიც იოლად მოიგეთ, თუმც შენი პასიურობა აშკარა იყო...**

— დაღლის ბრალია. ვარჯიში აქ ჩამოსვლამდეც არ მაკლდა და ამას წამატებულ ერთბაშად ასეთ დატვირთვას ველარ გავუძელი. ერთხელ მომეცა დასვენების საშუალება, როცა დრაფტის დღეები იყო, თუმც მაშინდელმა ემოციებმა არანაკლებ დამქანცა.

**— შენი ბოლოდროინდელი წარუმატებელი თამაში მხოლოდ დაღლას უნდა მივაწეროთ?**

— ეგრეა, წინა მატჩებში ხომ მოედანზე ყველაზე მეტ დროს მე ვატარებდი, თანაც ფრთის პოზიციაზე თამაშსაც არ ვიყავი ნაჩვევი. მეტოქეთა დევნაში, რომლებიც ჩემზე 20 და უფრო მეტი სანტიმეტრით იყვნენ დაბლები, მაგრად დავიღალე. ბოლოს იქამდე მივედი, გადავწყვიტე, მწვრთნელისთვის შეცვლა მეთხოვა, მაგრამ თავი შევიკავე და თამაში განვაგრძე.

**— კი მაგრამ, მწვრთნელები ვერ ხედავდნენ, რომ გადაიღალე?**

— დაცვაში ეს არ მეტყობოდა, რადგან ვიცოდი, რომ „დენვერში" სწორედ ამას აქცევენ უდიდეს ყურადღებას და თავს ვიკლავდი, ოპონენტს გასაქანს არ ვაძლევდი. ეს უარესად მქანცავდა და შეტევის თავი აღარ მქონდა. ქულების დაგროვებაზე აღარ ვფიქრობდი, მთავარი ყურადღება დაცვაზე მქონდა გადატანილი.

**— მწვრთნელებმა რა გითხრეს? შენი თამაშით კმაყოფილები არ უნდა დარჩენილიყვნენ...**

— ბოლო ორ მატჩში მთლიანობაში კმაყოფილი, ცხადია, არ იყვნენ. ჯამში 7 ქულა ძალიან ცოტაა, სასაყვედუროც ძირითადად ეს ჰქონდათ.

**— „დენვერის" დროებითი მწვრთნელი ჯეფ ბზდელკი თუ გელაპარაკა?**

— საერთო ჯამში ჩემი თამაშით ყველა კმაყოფილია. ბოლო ორ მატჩშიც რომ მეხეირა, ალბათ, ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც დამასახელებდნენ. პირველ და მომდევნო მატჩებში ჩემმა თამაშმა ბევრ სპეციალისტს კარგი ათქმევინა. მწვრთნელებზე აღარ ვლაპარაკობ. ერთადერთი, რაზეც ბზდელიკმა და სხვებმაც მიმითითეს, შეტევაში აქტიურობა და მეტი აგრესიულობა იყო. ბზდელიკი სულ ჩამჩიჩინებდა, ბევრი ესროლე, ხშირად შეუტიეო.

**— შენ კი პასიურობდი, ხშირად არ ესროდი. რატომ?**

— ადრეც გითხარით, „დენვერში" დიდი კონკურენციაა. პირველი მატჩი რომ კარგად ვითამაშე, ყველამ ჩათვალა, რომ მე ძირითად შემადგენლობაში ადგილი მქონდა დაჯავშნული, თვითონ კი თავი უნდა მოეკლათ. ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ბურთი ჩაეგდოთ, ასე უნდოდათ, მწვრთნელებისთვის თავი მოეწონებინათ. მე ვხვდებოდი ამას და წამდაუწუმ სროლით ხელს აღარ ვუშლიდი. „ღორობა" რომ დამეწყო, ცუდ ტონად ჩამეთვლებოდა. თანაც პასუხისმგებლობასაც ვგრძნობდი, რომ ავაცილებდი-ხოლმე, ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებდა.

**— რამდენჯერმე ბურთიც დაკარგე. არადა, შენი ამპლუის მოთამაშეს კარგი დრიბლინგი მოეთხოვება. ამ მხრივ რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვს?**

— არავითარი. დრიბლინგისას არც ერთი ბურთი დამიკარგავს, ყველა დანაკარგი ფარზე თამაშზე მოდის. აქ ისეთი ამბავია, ბურთს რომ მოხსნი, მაისურის ქვეშ უნდა ამოიდო, თუ გინდა რომ არავინ წაგართვას.

**— ესე იგი, დასვენება გჭირდება. უფროსები ახლა ალბათ დაგითხოვენ...**

— უკვე დათხოვნილები ვართ, მაგრამ სულ მთლად დასვენებული არც ახლა ვარ.

**— რატომ?**

— ყველა, ვინც სოლტ ლეიკ სიტიში ითამაშა, შინ წავიდა, ზოგიც ამერიკის პლაჟებზე ისვენებს. დენვერში მარტო მე და სავოვიჩი დავრჩით და რადგან არსად მივდიოდით, ჩვენმა ფიზიკური მომზადების მწვრთნელმა პროგრამა დაგვიტოვა — მცირე ხნით ტრენაჟორებზე ვვარჯიშობთ, მერე კი ბურთს კალათში ვისვრით.

**— დასასვენებლად არსად წახვალ?**

— დენვერშიც კარგად ვისვენებ, თუმც მალე მომიწევს აქაურობის დატოვება. 2 აგვისტოს ნიუ ჯერსიში ახალბედების შეკრება იწყება და იქ მივემგზავრები. სამი დღის შემდეგ კი ლას ვეგასში ამნაირსავე კემპზე წავალ, მერე ჰავაიზე მაღალ კალათბურთელთა საწვრთნელი შეკრება იწყება. ალბათ, იქ დავისვენებ კიდეც, სავოვიჩს ჰავაიზე სახლი აქვს.

**— თავისუფალი დრო ბლომად გექნება...**

— რაც აქ ვარ, უმეტესი დრო ვარჯიშში მაქვს გატარებული. [illegible] შედარებით ახლა ნაკლებს [illegible] დავისვენე, მაგრამ ვაი, ამ დასვენებას, იმდენს დავდივარ, ფეხები აღარ მ[illegible]. მთელი დენვერი ფეხით შემოვიარე. გუშინ დისნეილენდშიც ვიყავი.

**— საქართველოში არ ჩამოდიხარ?**

— არა, კემპები რომ მოვრჩე, ისევ დენვერში ჩამოვალ. აქ 17 აგვისტოს ჩინეთის ნაკრები ჩამოდის, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. იაო მინგიც იქნება და მასთან ერთად წავივარჯიშებ.

**— „დენვერის" ძირითადი შემადგენლობა როდის შეიკრიბება?**

— ალბათ, შუა ოქტომბერში. მანამდე კი სექტემბერში ამავე შემადგენლობით შევიკრიბებით და დამრჩენების ვინაობაც მაშინ გაირკვევა.

**— იმედია, მათ შორის შენც მოხვდები...**

— მეც ეგრე ვფიქრობ. ახალბედებიდან იქ მოხვედრის ყველაზე კარგი შანსი მე, ილარიოს და სავოვიჩს გვაქვს.

**ირაკლი ბერტაია**

*„ადმირალი" დაბერდა და შეუძლია, თავისი გზა მონახოს" — დაახლოებით ასეთ რამეს იტყვიან „სან ანტონიოს" ყველაზე თავგადაკლული ქომაგებიც კი, თუკი ვინმე სთხოვს დევიდ რობინსონის მიმართ თავიანთი დამოკიდებულების გამჟღავნებას. კი მაგრამ, ეს ის რობინსონი არაა, „სან ანტონიოს" თილისმად რომ ქცეულა და არა მარტო წმინდა ანტონიოს ქალაქის სპორტულ სახეს წარმოადგენს, ვინძლო ამ ქალაქის ყველაზე სახელგანთქმული ადამიანიც იყოს.*

# ადმირალი წავიდეს!

## ახლა მილიონერი იუნგების დროა

მცირე ხნის წინ იგივ სანანტონიოელები თავს უბედურებად და მიტოვებულებად ჩათვლიდნენ, თუ „სან ანტონიო სფურზში" ვერ იხილავდნენ 40 წლის რობინსონს. ახლა კი ისინი მზად არიან, „ადმირალს" 36 წლისასაც შეელიონ. რობინსონს დღემდე პატივს სცემენ იმ ქალაქში, რომელსაც მან მთელი თავისი კარიერა შესწირა და მრავალი დიდი და უამრავი მცირე სიხარული აჩუქა, თუმც ეს პატივისცემა უკვე აღარაა ის ბრმა სიყვარული, რასაც კალათბურთელი უწინ ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობდა.

ასაკოვანი რობინსონი ისევე მომხიბვლელი არაა, როგორც 90-იანებში. მაშინ ის მსოფლიოს პირველი ცენტრი იყო და მისი გამჩერებელი დედამიწაზე არ დადიოდა. ასაკმა მას ხიბლი მოაკლო. თან „სან ანტონიოში" მას შემცვლელი გამოუჩნდა.

შემცვლელში ტიმ დანკანი არ იგულისხმება. დანკანმა რობინსონს გუნდის ლიდერობა ჩამოართვა და ამას ყველა, თავად „ადმირალიც" იოლად შეეგუა. ახალგაზრდა დანკანი ახალგაზრდა რობინსონზე უკეთესიცაა, მას სრულყოფილ ტექნიკასთან ერთად უფროს მეგობარზე მეტი სათამაშო აგრესია აქვს და ამ საკითხზე არავინ დავობს, მაგრამ ახლა საქმე ასე დგას: საერთოდ სჭირდება კი 36 წლის ბებერი ცენტრი „სფურზს"? დანკანის გარდა „სან ანტონიოს" კიდევ ერთი ხეირიანი მეფარე მოეძევება, რომელსაც დრო კი არის და უნდა დაუთმოს ადგილი რობინსონმა. იმ კაცს, რომელმაც უნდა შეცვალოს ერთ დროს უდიდესი ცენტრი, მალიქ როუზი ჰქვია.

როუზი 1996 წლიდანაა ნბა-ში, 1997 წლიდან კი „სან ანტონიოს" სათადარიგოებშია და ელის, როდის მიენიჭება „სფურზის" ძირითადში თამაშის ბედნიერება. თითქოს არც ისე დიდი შანსი ჰქონდა გუნდში, სადაც დანკანი და რობინსონი თამაშობდნენ, მაგრამ ქამთასვლამ ბედი მისკენაც გაახედა.

27 წლისა და 201-სანტიმეტრიანი როუზი რობინსონზე 15-ით დაბალია. ვერც მასსავით სწორუპოვარი მექულეა, კარიერის თამაშებში საშუალოდ 6,3 ქულა ჩაუგდია, რაც რობინსონის ასეთივე მაჩვენებლის ერთი მესამედიც ვერაა, მაგრამ გუნდის ბოსები თვლიან, რომ თუ ხუთეულში ათამაშეს, როუზი რობინსონის დონეს თუ ვერ უწევს, 15-მდე მაინც გაზრდის ქულათა მონაგარს.

„სფურზის" საქმეთმმართველებს მტკიცედ სჯერათ როუზის მომავალი აღმასვლის, თან ამ ჯეელს საამისოდ ფულითაც ახალისებენ. ამ უქმეებზე როუზმა და კლუბმა ხელი ხელს დაჰკრეს და გაჩნდა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც რობინსონის შემცვლელი და დანკანის მომავალი მეწყვილე ექვსი წელი უერთგულებს „სან ანტონიოს" და ამისთვის 42 მილიონ დოლარს მიიღებს ხელფასად. წლიური შვიდი მილიონი ჯიბის ფული არაა და ძნელად სავარაუდოა, ასეთი თანხის ამღები კაცი სათადარიგოთა სკამზე ძველებურად აყურყუტონ.

რაც შეეხება დევიდ რობინსონს, „ადმირალი" ჭკვიანი კაცია და მიხვდება, რომ მისი წასვლის დრო მოვიდა. წავა, მოუსმენს ჯაზს, წაიკითხავს საყვარელ ავტორ-ფილოსოფოსებს და ცხოვრების სიღრმეებს უფრო საფუძვლიანად ჩაუკვირდება. ისე კი, ვინ იცის, ვინძლო უქმად ყოფნა არ ისურვოს და ძველ პროფესიას, სამხედრო-საზღვაო ოფიცრობას დაუბრუნდეს. რობინსონს არა მარტო დაუმთავრებია უმაღლესი საზღვაო აკადემია, არამედ ორი წელი პროფესიითაც უმუშავია. ამიტომაც შეარქვეს „ადმირალი". დღემდე ყველას უკვირს ეს ამბავი — რობინსონი 1987 წლის დრაფტზე „სან ანტონიომ" პირველ ნომრად აირჩია და ნბა-ს დაპყრობის გეგმა გადაუშალა, რომელშიც „ადმირალი" მთავარ როლს შეასრულებდა. ამან კი ნბა-ში შეჭრა და იქაურობის დაწიოკება ორი წლით გადადო და სამხედრო ხომალდებზე სამსახური გადაწყვიტა.

სამწუხაროა, რობინსონი და რობინსონისნაირები მალე ქაღალდებსა და ვიდეოფირებზეღა შემორჩებიან, მათ ადგილს კი იკავებენ კალათბურთელები, რომელთაც აკადემია-უნივერსიტეტებისკენ არ მიუწევთ გული. მათ რაც შეიძლება მეტი მილიონის რაც შეიძლება მალე შოვნის გულისთვის პირდაპირ სკოლიდან მიეჩქარებათ ნბა-ში.

**ირაკლი ფირ[illegible]ვილი**



დევიდ რობინსონი წასვლა-დარჩენაზე ფიქრობს




მალიქ როუზი რობინსონობას ქმურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიუიტი მანტიაში გაიხლართა



ლეიტონ ჰიუიტი ცუდ ფეხზე იდგა

**CANADA TENNIS MASTERS**
ტორონტო. ჰარდი
საპრიზო 2,95 მილიონი $

**პირველი წრე**

**ფელიქს მანტია** (ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 2:6, 6:4, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (4, ბრიტანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:4; **თომას იოჰანსონი** (9, შვედეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 4:6, 6:4, 7:6 (8:6); **გილერმო კანასი** (არგენტინა) — როჯერ ფედერერი (10, შვეიცარია) 7:6 (12:10), 7:5; **ირჟი ნოვაკი** (14, ჩეხეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (15, არგენტინა) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:4, 6:3; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — კრისტ კარლსენი (დანია) 7:6 (7:5), 7:6 (8:6); **ტეილორ დენტი** (აშშ) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 6:2; **ტოდ მარტინი** (აშშ) — გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) 3:6, 7:6 (7:4), 7:5; **პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:7 [illegible] 7:6 (7:3)

ტორონტული მასტერსტურნირ[illegible]იანად არც გახურებულიყო, უმალ სამთავა[illegible] სენსაცია რომ გამოცხვა. ლეიტონ ჰი[illegible]ჰელსაც ბოლო სამი კვირის განმავლობაში ს[illegible]ბილდონო დაფნაზე ნებივრობის მეტი, ეტყობა, არაფერი უკეთებია, პირველი წრიდან მსოფლიოში 55-ე ჩოგნის მჭნეველმა ფელიქს მანტიამ დაითხოვა.

21 წლის ორგზის მესლემტიტულე ოზი აშკარად მოყანგული ჩანდა, თუმცა არც მანტიას საუცხოო გარჯის აღუნიშნაობა იქნება. ესპანელმა, ვინაც წლევანდელი 16 ტურნირიდან მეორე წრეში მხოლოდ ერთხელ გააღწია, წაგებული პირველი სეტის შემდეგ მეორეში თამაშის შეთანაბრება შეძლო და საიმდროოდ, როცა კორტს შხაპუნა მოასკდა, 5:4 იგებდა.

წვიმამ ორი საათის გასტანა და მეჩოგნეთა უკანმობრუნების შემდეგ მანტიას უპირატესობა უკვე გაუსაჩივრებელი იყო. გადამწყვეტ სეტში ჰიუიტმა მხოლოდ ერთი საკუთარი გეიმი მოიგო.

სიმართლე გითხრათ, ჩემი თავი მე თვითონ გავაოცეო, იძახდა ესპანელი.

კაცთა შორის უპირველესი მეჩოგნე მას სამი წლის წინაც დაემარცხებინა. მაშინ რეიტინგსიის სათავეში პიტ სამპრასი იდგა და მანტიას ის ინდიან უელსის მასტერსტურნირზე შემოეჩოგნა.

მის უმთავრეს მიღწევად 1998 წლის როლან გაროსის ფინალში თამაში ითვლება. იმავე წელს მან კლასიფიკაციის მისთვის უმაღლეს, მე-10 საფეხურზეც იბოგინა...

იმედია, აშშ-ის ღია პირველობის დაწყებამდე ცოტა აზრზე მოვალო, ამბობდა ნამატჩევს ჰიუიტი. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი გამარჯვებული გახლავთ.

სხვაფრივ — ისევ ჩაიფლავა მეათე ნომრად განთესილმა შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა, რომელმაც წლეულს, მაისში მოგებული ჰამბურგული მასტერსტურნირის შემდეგ მხოლოდ ხუთ შეხვედრაში იმარჯვა, ხოლო ბოლო სამი თვის განმავლობაში უკვე მეხუთე ბობოლა ტურნირია, რაც პირველივე წრიდან აიმასქნებენ.

ტორონტომდე ეს რომში, როლან გაროსზე, ჰალესა და უიმბლდონში მოხდა.

ასეთ სიცხესა და ნესტში ჯერ ამ მითამაშიაო, ჩიოდა ნამატჩევს, ევროპაში ეგეთ რამეები არ ხდებაო...

მერე კი ამერიკელმა ტოდ მარტინმა გრეგ რუზედსკი აბარგა, კაცი, რომელიც ბრიტანეთის დროშქვეშ კი გამოდის, მაგრამ პასპორტის თანახმად კანადის მოქალაქეც გახლავთ.

ჰოდა, კანადელებს მათი წილი სიხარულის მუღამი რომ ჰქონდათ, პირველივე წრეში წაემურდღათ — ვეტერანმა ამერიკელმა ბოლო სეტში თავის მოწოდებაზე 28 ქულიდან 24 თავადვე მიითვალა და გრეგის თოვლის დედოფალივით მკაცრლამაზი მეუღლე ისევ გაუღიმავი დატოვა.

და კიდევ — ტურნირს უკანასკნელ მომენტში გამოაკლდა ამ უქმეებზე ლოს ანჯელესში ნახერალი ანდრე აგასი. კანადა-მასტერსის სამგზის გამარჯვებულმა არმენოამერიკელმა ტორონტოში ჩაუსვლელობის მიზეზად ტრავმა დაასახელა. ამის გამო მას 80-ათასდოლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

**ლევან ძელაურაძე**

**ACURA CLASSIC WTA**
სან დიეგო. ჰარდი
საპრიზო 750 ათასი $

**პირველი წრე**

**ბრიტა არნი** (გერმანია) — მარი პირსი (საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:4; **ამანდა კუტციერი** (სამხრეთ აფრიკა) — სარა ტეილორი (აშშ) 6:2, 6:2; **მაგდალენა მალეევა**... **ვალენ ბარსია**? 

---

მარატ საფინს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება — უნიჭიერესი მეჩოგნე თუმც ერთადერთ სლემმიღწევას დაიკვეხნის (2000 წელს აშშ-ის ღია პირველობის ფინალში თავად პიტ სამპრასს სძლია), მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში ნიადაგ კაცთა ზეათეულში ბოგინობს და მისი ამ უცხოურიდან ნათარგმანები ინტერვიუს წაკითხვისას კაცთა რეიტინგსიაშიც და ჩემპიონთა რბოლაშიც ჰიუიტისმომდევნო მეორე საფეხური უპყრია.

ჩვენი უცხოელი კოლეგები მას ტორონტოში ესაუბრნენ, სადაც კანადის მასტერსტურნირი მიმდინარეობს.

# მუსლიმ საფინს სახელი დაავიწყდა

## ყოჩი მალე მოვა, აუცილებლად მოვა

**— ამ რამდენიმე წლის წინ თქვით, რომ ქალები ჩოგბურთს გირჩევნიათ. დღესაც ასე ფიქრობთ?**

— სიამოვნებისა და საქმის შედარება არ შეიძლება. ეს ორი განსხვავებული რამეა. თუმცა ხანდახან ისე ხდება, რომ ან ერთი უნდა ირჩიო, ან მეორე. ჰოდა, მეც ხან სიამოვნებას ვარჩევ, ხან საქმეს.

**— საინტერესოა, ჩოგბურთის თამაში თუ გგვრით სიამოვნებას?**

— ცხადია. თუმცა არა ყოველთვის, რადგან ჩოგბურთი ხშირად თამაშის ფარგლებს სცდება და უფრო ფსიქოლოგიურ გარჯად იქცევა ხოლმე. ჩოგბურთი ხომ მხოლოდ ხათქა-ხუთქი არაა, ეს უწინარესად ფიქრია, ფიქრი კი ყოველთვის დადებით ემოციებს არ აღძრავს. ზოგჯერ იმიტომ ფიქრობ, რომ კარგად არ თამაშობ, ზოგჯერ კი ის გაფიქრებს, რომ პირიქით, ყველაფერი კარგად მიგდის. მოკლედ — კორტზე ყოფნა ყოველთვის სასიამოვნო არაა.

**— ორი წლის წინ ტორონტოს მასტერსტურნირზე მოგებას აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვებაც მოჰყოლეთ. ხომ არ შეიძლება, წელსაც იგივე მოხდეს?**

— შეძლებით ყველაფერი შეიძლება, მაგრამ საუცხოო ფორმაში მყოფი ჰიუიტის ძლევა ძალიან ძნელია. ცხადია, მე ყველანაირად ვემზადები, რადგანაც სწორედ ასეთ ტურნირებზე ირკვევა, თუ ვინ არის ნამდვილად პირველი მეჩოგნე. პირველობა კი ჩემი უმთავრესი მიზანია. უბედნიერესი კაცი ვიქნები, თუკი რეიტინგსიის სათავეში ასვლას უკვე ამ სეზონშივე მოვახერხებ. მენდეთ, საამისოდ მე ძალიან მაგრად ვემზადები, განსაკუთრებით მენტალური თვალსაზრისით.

**— მენტალურ მზადებაში იმას ხომ არ გულისხმობთ, რომ თქვენი სიფიცხის ალაგმვას ცდილობთ, სიფიცხისა, რომელიც თამაშისას ზოგჯერ სულელურ პრობლემებსაც გიქმნით?**

— ჩემს სიფიცხეზე ბევრი მეკითხება. რას იზამ — ადამიანები ხომ ასეთი განსხვავებულები ვართ. შეუძლებელია ორი ერთნაირად მოაზროვნე კაცის პოვნა. ყველა თავისებურად ცხოვრობს, ყველას თავისი მუღამი აქვს... რას არ იძახიან ჩემზე — ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი, იმის მაგივრად, სლემტურნირს სლემტურნირზე იგებდეს, დღემდე მხოლოდ ერთი დიდი ტიტული მოუგიაო და ასე შემდეგ. რომ იცოდეთ, რა საწყენია ასეთი სიტყვების მოსმენა... მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ჩოგბურთი ადვილი საქმე სულაც არაა, გინდაც ყველაზე ნიჭიერი ტიპი იყო. მით უფრო ახლა, როცა თამაშის დონე როგორც არასდროს ისე გათანაბრდა. დღეს დიდ ჩოგბურთს მარტო ზეათეულის კი არა, უკვე ზეასეულის წარმომადგენლები თამაშობენ. ყოველი მატჩისთვის საგულდაგულოდ უნდა ემზადო, გამოკვეთილი ფავორიტი უკვე აღარც ერთ შეხვედრაში აღარ მოიძიება...

**— სპორტის ფსიქოლოგებს თუ ენდობით? მიმართავთ თუ არა მათ დახმარებს?**

— არა, არასოდეს მიცდია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამით არასოდეს დავინტერესებულვარ. მე ჩემი მეთოდები მაქვს, თუ ვხედები, ჩოგანს ვამსხვრევ, ანაც ბურთს ვისვრი. ეს მაგრად მეხმარება ხოლმე. ჩემს თავს ისევ მე ვქოქავ. ეს ერთი მხრივ კარგია, მაგრამ იმითაა ცუდი, რომ ამას კორტზე ვაკეთებ, ჩემს ემოციებს ხალხის დასანახად ვაფრქვევ. ძალიან ემოციური ვარ და ალბათ ვერასოდეს შევიცვლები.

**— ჯონ მაკენროიც ასევე იქცეოდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ჰგავხართ მას?**

— კარგი იქნებოდა, მართლაც ვგავდე. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი შედარება შეუძლებელია, მას 77 ტიტული ერთეულებში ჰქონდა მოგებული, 77-ც წყვილებში, მე კი დღემდე ერთი დიდი ტიტული მაქვს. ასე რომ, ის ჩემთვის მეტისმეტად დიდია. გარდა ამისა — ახლა სხვა დროა, სხვა ჩოგბურთი. თავად განსაჯეთ, ვინ მოიგო წლეულს დიდი სლემის ტიტულები — იოჰანსონმა და კოსტამ. ამის გაკეთება ახლა უკვე ბევრს შეუძლია, არ ვიცი, შეძლებენ თუ არა ჰიუიტი და ფედერერი კაცთა ჩოგბურთში იმგვარად დომინირებას, 5-6 სლემტიტული რომ მოიხვეჭონ, არ ვიცი, ეს ახლა ძალიან ძნელია, რადგანაც ახლა ძალიან ბევრია ისეთი მეჩოგნე, ვინც ძალიან კარგ ჩოგბურთს თამაშობს.



მარატ საფინი საკუთარ ზედმეტემოციურობას აღიარებს

**— ერთ-ერთ წინა კითხვაზე პასუხისას პირველნომრობა ახსენეთ. საინტერესოა, თქვენთვის ეს ისეთივე მძლავრი მოტივაციაა, როგორიც სლემტიტულები?**

— პირველი ნომერი ვერ გახდები, სლემტურნირებს თუ არ მოიგებ. თუკი დიდ ტურნირებზე გამარჯვებისთვის იბრძვი, ესე იგი, პირველობაც გსურს... ცხადია, მე ძალიან მსურს პირველობა, ცხადია, დიდ ტიტულებსაც გიფიქრობ მივულტვი, მაგრამ ეს არ არის ადვილი. უნდა იბრძოლო და მეც ვიბრძვი, სულ თამაშში ვარ, მუდამ ჩემს თავს ვაკვირდები, ზოგჯერ რაღაც გამომდის კიდეც, ზოგჯერ — არა, მაგრამ სულ დაძაბული ვარ, სულ ძებნაში ვარ, განუწყვეტლივ ვიბრძვი...

**— როგორ ფიქრობთ, ჰყავს თუ არა კაცთა ჩოგბურთს გამოკვეთილი ყოჩი, შეუცილებელი პირველი ნომერი?**

— არა, არ ჰყავს. ვის სად უმართლებს, ვის — სად, მაგრამ ისეთი ლიდერი, ისეთი უდავო ლიდერი, როგორიც, ვთქვათ, პიტ სამპრასი იყო, ახლა არავინაა. ყველა ძალიან ახლოსაა, ყველას ყველას დამარცხება შეუძლია... ცხადია, ჰიუიტი ერთგვარად გამორჩეული ფიგურაა, დიდი მოთამაშეა, მაგრამ მას თიხაზე თამაში უჭირს, როცა მას ეთამაშები, იცი, რომ შანსი მაინც გაქვს, არასოდეს გეუფლება განწირულობის გრძნობა, იცი, რომ თუ იბრძოლებ, მოუგებ კიდეც. როცა სამპრასთან გადიოდი, იცოდი, რომ არავითარი შანსი არ გქონდა, რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო, მისთვის რომ მოგეგო, უფრო სწორად, მის ხელში იყო ყველაფერი, თვითონვე წააგებდა და თვითონვე მოიგებდა.

**— მერედა, კარგია თუ ცუდი, ასეთი უდავო ლიდერი რომ არ არის?**

— აბა, რა გითხრათ. ვნახოთ, დაველოდოთ, უნიჭიერესი ახალგაზრდობა მოდის. ზეათეულში უკვე თითქმის ახალგაზრდები არიან — ფერერო, ჰიუიტი, ფედერერი, გროჟანი, ჰაასი, მეც ხომ მხოლოდ 22 წლის ვარ. ვნახოთ, ერთი-ორი წლის მერე გაირკვევა, ვინ იქნება ჩვენს შორის უძლიერესი. ვფიქრობ, რომ ვიღაც უთუოდ უნდა გამოირჩეს, ვიღაცა უთუოდ იტვირთებს პირველობას.

**— საჩოგბურთო სეზონი მთელ წელს, შეუსვენებლივ გრძელდება, ალბათ საშინლად იღლებით?**

— საჩოგბურთო სეზონი ეს არის 11-თვიანი განუწყვეტელი მგზავრობა, ტურნირიდან ტურნირზე, აეროპორტიდან ოტელამდე, ოტელიდან კორტამდე, კორტიდან ოტელამდე და ასე გაუთავებლად. ჩემთვის ეს მით უფრო დამთრგუნველია, რომ თვითმფრინავით მგზავრობის მეშინია, წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვარ? ამიტომაც თითოეულ ჩვენგანს ხშირადა აქვს ჩავარდნები, როცა არაფერი გინდა, არაფრის თავი არა გაქვს. დაღლილი ხარ ამ გაუთავებელი გადაფრენა-გადმოფრენით, თამაშით და ვარჯიშით. ორი-სამი კვირა თუ არ დაისვენე და სადმე არ გაიშოტე, შეიძლება, გარეკო... ასეთ პირობებში, ერთი თვე ყველაფერს იგებ, მერე ერთი თვე ყველაფერს აგებ. მაგრამ ჩვენ მაინც არ ვწუწუნებთ, ეს ჩვენი საქმეა, ჩვენი ბიზნესია და ვცდილობთ, კაცურად ვაკეთოთ იგი.

**— ჩოგბურთის გარდა სხვა რამის კეთება თუ მოგდომებიათ?**

— რომ მოიბნო, კაცმა ეგებ რამე იპოვო კიდეც, მაგრამ ჩემთვის ეს მაინც ძალიან ძნელია. ძნელია საკუთარ თავს სხვა რამის კეთება აიძულო, როცა 6 წლიდან ჩოგანი გიკავია. ახლა რომ რაღაცის სწავლა მოვინდომო, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, სკოლისთვის, გაკვეთილებისთვის და ეგეთი რამეებისთვის კი არც დრო მაქვს და არც ხალისი. ასე რომ, როცა კი ამაზე დავფიქრებულვარ, ისევ ის დამისკვნია, რომ ჩოგბურთზე უკეთესი არაფერი მაბადია.

**— ამბობენ, რომ მარატი მშობლებმა საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერის, ჟან-პოლ მარატის პატივსაცემად დაგარქვეს? ეგრეა?**

— არა, არა, ეს მუსლიმური სახელია, ალბათ იცით, რომ მე მუსლიმი ვარ, იცით ალბათ, ასეთი რელიგია რომ არსებობს.

**— და რამეს თუ ნიშნავს მუსლიმურად?**

— რაღაცა კი მითხრეს, მაგრამ დამავიწყდა. არ ვიცი, შეიძლება „თავისუფლება". ზუსტად არ მახსოვს, თუმცა რაღაც კარგი კი უნდა იყოს.

**— მოდით, ისე ჰიუიტზე ვისაუბროთ. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა მის თამაშში ბოლო წლების განმავლობაში?**

— ის უფრო სტაბილური გახდა, აშკარა ჩავარდნები აღარ აქვს. ყოველ ტურნირზე რაღაც დასამახსოვრებელს მაინც აკეთებს.

**— ვისა აქვს დღესდღეობით საუკეთესო ხელწაღმა თუ ხელუკუღმა დარტყმები?**

— ჰიუიტი სრულყოფილი მოთამაშეა, ის ორივე მხრიდან საუცხოოდ ურტყამს, თუმცა ყველაზე მაგარი მეხელწაღმე მაინც ფედერერი უნდა იყოს, საუკეთესო ხელუკუღმა კი კუერტენის თილფია. ეს ტომი ჰაასსაც კარგად გამოსდის. ორხელა ხელუკუღმები უძლავრესი კაფელნიკოვსა და აგასისა აქვთ, ცუდად ასე არც მე უნდა ვურტყამდე.

**ლევან ძელაურაძე**

## რაგბი

# წაგიყვან, გოგო, ოშში



სალომე და ბესო: კეთილი სურვილები ბედნიერ წყვილს

*ამ თვის დამდეგს საქართველოს ნაკრების ფრანგმა თავკაცმა კლოდ სორელმა შეგირდებს 10-დღიანი შეკრება მოუწყო შუახევსა და ბათუმში. ბორჯღალოსნებს შემოდგომაზე 2003 წლის ავსტრალიის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში ირლანდიასთან და რუსეთთან აქვთ სათამაშო და ეს შეკრებაც ამ მატჩებისთვის სამზადისის ერთი ეტაპი გახლდათ. მოგეხსენებათ, ნაკრების წევრთა უმრავლესობა საფრანგეთში თამაშობს. ახალი სეზონი იქ სექტემბერში იწყება და ჩვენმა ლეგიონერებმაც თავ-თავიანთ კლუბებს მიაშურეს, მათ შორის ბესო ხამაშურიძემაც*

ნაკრების უკანახაზელი ამ ორიოდ დღის წინ გაემგზავრა საფრანგეთში. ეს ბლიც-ინტერვიუ კი მას წინა დღეს ჩამოვართვით და რომ იცოდეთ, სად?! ქუთაისის ერთ-ერთ მმაჩის ბიუროში. დიახ, 25 წლის მორაგბემ გულის სწორი მოძებნა.

— ადრე არ მჯეროდა ერთი ნახვით შეყვარების... თურმე, შესაძლებელი ყოფილა. მე და სალომემ ერთ კვირაში გადავწყვიტეთ შეუღლება — გვითხრა გახარებულმა სიძემ.

**— რა პროფესიას ეუფლება შენი მეუღლე?**

— ეკონომიკურზე სწავლობს, მაგრამ მეორე პროფესიაზეც ფიქრობს, სამედიცინოზე სურს საბუთების გადატანა.

**— საფრანგეთში ერთად მიემგზავრებით?**

— არა, სალომეს მოგვიანებით წავიყვან, საჩიხო საკითხებს მოვაგვარებ და...

**— წინა სეზონში „ელიტ-2"-ის „ტულონში" თამაშობდი. გავიგეთ, კლუბი შეგიცვლია.**

— მართალია, „ტულონში" აღარ ვითამაშებ. ამ კლუბში ერთი სეზონიც უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ...

**— რა მოხდა?**

— რევოლუცია. „ტულონში" ხელმძღვანელობა შეიცვალა. ახალმა მწვრთნელმა თავისი ხალხი მოიყვანა გუნდში, ძველი შემადგენლობიდან თითქმის არავინ დაიტოვა.

**— სად გააგრძელებ თამაშს?**

— „ოშში", ესეც „ელიტ-2"-ის კლუბია.

**— „ტულონიდან" წამოსვლით გულდაწყვეტილი ხარ?**

— გულდასაწყვეტი ის არის, რომ ქალაქს ვიყავი შეჩვეული. ტულონში ბევრი მეგობარი შევიძინე და ახლა მათთან განშორება მიწევს, თორემ სხვა რა პრობლემაა. „ოშიც" საკმაოდ ძლიერი გუნდია, ბოლო სეზონი მე-6 ადგილზე დაასრულა და, რამდენადაც ვიცი, ახალ გათამაშებაში უფრო დიდი მიზნები აქვს.

**— „ტულონში" შენს გარდა გია ლაბაძე, აქვსენტი გიორგაძე და ილო ზედგინიძე თამაშობდნენ. ამათი საქმე როგორაა?**

— ქართველებიდან ახალმა მწვრთნელმა მხოლოდ გია დაიტოვა გუნდში.

**— „ოშში" კონტრაქტის პირობები?**

— ერთწლიან ხელშეკრულებას ვაფორმებ. პირობები დაახლოებით ისეთივეა, რაც „ტულონში".

**— საქართველოს ნაკრები მალე მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში ირლანდიას და რუსეთს უნდა დაუპირისპირდეს. რას იტყვი?**

— მსოფლიო თასზე თუ გვინდა თამაში, რადაც უნდა დაგვიჯდეს, რუსებს უნდა ვაჯობოთ. ჩვენ სხვა საფიქრალი არა გვაქვს.

**იუზა ძაძიტაძე**
**ქუთაისიდან**

## ავტორბოლა

# შუმახერმა წრეს შეკრა



მიხაელ შუმახერმა 900-ქულიანი ზღვარი შინ, „ჰოკენჰაიმრინგზე" გადალახა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1-ის** ისტორიაში ყველაზე შედეგიანმა მრბოლმა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა გასულ კვირას მორიგი ფანტასტიკური მიღწევა მიითვალა — მშობლიურ „ჰოკენჰაიმრინგზე" გამარჯვებით წარმოუდგენელ, 900-ქულიან ზღვარს გადააბიჯა.

კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ შარშანწინ, მესამედ გაჩემპიონების შემდეგ, „წითელმა ბარონმა" საქვეყნოდ განაცხადა, კარიერის ბოლომდე 70 დიდი პრიზის მოპოვებას და 1000 ქულის დაგროვებას ვაპირებო. მიხაელს „ფერარისთან" კონტრაქტი 2004 წლის ბოლომდე აქვს და სადღეისოდ უკვე 62 ეტაპის მომგებმა და 907 ქულის პატრონმა თუ ასეთი ტემპით გააგრძელა, დანაპირებს ბევრად ადრე, ალბათ, გაისად შუა სეზონში აასრულებს.

შუმახერმა სამეფო რბოლებში მართლაც რომ მოღვაწეობა 11 წლის წინ, 1991 წლის 25 აგვისტოს ბელგიაში, სპა-ფრანკორშამის ავტოდრომზე „ჯორდანის" გუნდში გაჯირითებით დაიწყო, მომდევნო რბოლიდან კი უკვე „ბენეტონის" საჭეს უჯდა. იტალიელი ტანსაცმლის „მეფის" ლუჩანო ბენეტონის საჯინიბოს სახელით შუმიმ ოთხი სრული სეზონი ირბოლა, ორჯერ (1994, 95) ჩემპიონობა მოიპოვა და 303 ქულასაც მოუყარა თავი. 1996 წლიდან „სკუდერიის" ღირსებას იცავს და მართალია, თავიდან შედეგიანობის მხრივ მაინ[...]ნც კარგად ვერ წაუვიდა საქმე, [...] ბოლო სამ სეზონში უძლიერესი [...]ტულიც მოიხვეჭა და თან ყოველწლიურად ას ქულაზე მეტს აგროვებს.

| მიხაელ შუმახერის შედეგიანობა წლების მიხედვით | ქულა | რბოლა |
|---|---|---|
| 1991 | 4 | 6 |
| 1992 | 53 | 16 |
| 1993 | 52 | 16 |
| 1994 | 92 | 14 |
| 1995 | 102 | 17 |
| 1996 | 59 | 16 |
| 1997 | 78 | 17 |
| 1998 | 86 | 16 |
| 1999 | [illegible] | 10 |
| 2000 | 108 | 17 |
| 2001 | 123 | 17 |
| 2002 | 106 | 12 |

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2001-2002 წლების უწ[...]ქულიანი ბრწყინვალე სერია. მიხაელის სისხლისფერი ბოლიდი უკანასკნელად შარშან, გერმანიაში რბოლისას გამოეთიშა ასპარეზობას. მას შემდეგ ზუსტად ერთ სრულ სეზონში, ანუ 17 ეტაპზე მანქანა აღარ გაფუჭებია, რითაც ერთგვარი ჯადოსნური წრე შეკრა. ამასთან ზედიზედ 14-ჯერ (!) პოდიუმზე იდგა. ამ არანორმალური მიღწევის განმეორება არარეალური გვგონია, თუკი თავად ჯერ მხოლოდ 33 წლის დიადი გერმანელი არ მოინდომებს სარეკორდო ჭერის აწევას.

**ბია აკალაძე**

| ყველაზე მეტქულიანების ოცეული | | ქულა | რბოლა | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | გერმანია | 907 | 174 | 5,2 |
| 2. ალენ პროსტი | საფრანგეთი | 798,5 | 199 | 4,0 |
| 3. აირტონ სენა | ბრაზილია | 614 | 161 | 3,8 |
| 4. ნელსონ პიკე | ბრაზილია | 485,5 | 204 | 2,4 |
| 5. ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 482 | 187 | 2,6 |
| 6. ნიკი ლაუდა | ავსტრია | 420,5 | 171 | 2,5 |
| 7. მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 420 | 162 | 2,6 |
| 8. დევიდ კულტჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 391 | 136 | 2,9 |
| 9. გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 385 | 210 | 1,8 |
| 10. ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 360 | 99 | 3,6 |
| 11. დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 360 | 115 | 3,1 |
| 12. კარლოს რეუტმანი | არგენტინა | 310 | 146 | 2,1 |
| 13. გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 289 | 176 | 1,6 |
| 14. ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 281 | 144 | 1,9 |
| 15. რიკარდო პატრეზე | იტალია | 281 | 256 | 1,1 |
| 16. ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 277,1 | 51 | 5,4 |
| 17. ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | 274 | 72 | 3,8 |
| 18. ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 261 | 126 | 2,1 |
| 19. ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | 255 | 12 | 2,3 |
| 20. დენის ჰალმი | ახალი ზელანდია | 248 | 112 | 2,2 |
| ... | | | | |
| 22. რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | 230 | 159 | 1,4 |
| ... | | | | |
| 25. ჟაკ ვილნევი | კანადა | 212 | 111 | 1,9 |
| ... | | | | |
| 31. ედი ირვინი | დიდი ბრიტანეთი | 186 | 142 | 1,3 |
| ... | | | | |
| 37. რალფ შუმახერი | გერმანია | 171 | 95 | 1,8 |
| ... | | | | |
| 39. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | 161 | 140 | 1,2 |

## ფრენბურთი

# ჰონკონგური მილიონი ქალების კაცური ფილი



რუსული ბლოკი კუბელების წინააღმდეგ

**ფრენბურთელ** ქალთა დიდი პრიზისთვის ბრძოლას ოთხი ნაკრები შემორჩა. 1-4 აგვისტოს ჰონკონგში ჩინეთი, რუსეთი, ბრაზილია და გერმანია ოთხთა ფინალში ითამაშებენ, საპრიზო ფონდი — ერთი მილიონი დოლარიც იქ განაწილდება.

ჩინელების ფინალურ ეტაპზე გასვლა ეჭვს არ იწვევდა: მათ ბოლოს ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს გერმანია, ტაილანდი, ბრაზილია და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. მანამდე უძლეველი რუსები, კი მე-7 ტურში იაპონელებთან დამარცხდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩებში კუბელებსა და ამერიკელებს მოუგეს, მეორეობას დასჯერდნენ.

მესამეადგილოსანმა გერმანელებმა მთავარი ბრძოლა კიდევ ერთ ფინალისტ ბრაზილიელებთან გადაიტანეს. ეს ამ უქმეების ყველაზე საინტერესო მატჩი გამოდგა. ორსაათიანი დაძაბული ბრძოლის გმირი იტალიაში მოთამაშე გერმანელი ანჯელინა გრუნი გახდა. ბომბარდირობაც ამ ქალბატონს დარჩა — 153-ქულიანმა გრუნმა რუს ეკატერინა გამოვას ორი ქულით გაუსწრო.

ერთგვარი მოულოდნელობა იყო ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულის — ამერიკის ნაკრების უფინალოდ დარჩენა: 9 მატჩიდან მხოლოდ 3 გამარჯვება.

**თამილა ჩუმბურიძე**

| ქალები. დიდი პრიზი. შესარჩევი ეტაპი. 26-28 ივლისი |
|---|
| **მე-7 ტური** |
| რუსეთი 2:3 იაპონია |
| აშშ 2:3 კუბა |
| ბრაზილია 3:0 ტაილანდი |
| ჩინეთი 3:0 გერმანია |
| **მე-8 ტური** |
| კუბა 0:3 რუსეთი |
| იაპონია 3:1 აშშ |
| გერმანია 3:2 ბრაზილია |
| ტაილანდი 0:3 ჩინეთი |
| **მე-9 ტური** |
| აშშ 2:3 რუსეთი |
| კუბა 3:0 იაპონია |
| ტაილანდი 0:3 გერმანია |
| ჩინეთი 3:1 ბრაზილია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 9 | 8 | 1 | 17 |
| რუსეთი | 9 | 8 | 1 | 17 |
| გერმანია | 9 | 5 | 4 | 14 |
| ბრაზილია | 9 | 5 | 4 | 14 |
| იაპონია | 9 | 4 | 5 | 13 |
| აშშ | 9 | 3 | 6 | 12 |
| კუბა | 9 | 3 | 6 | 12 |
| ტაილანდი | 9 | 0 | 9 | 9 |

## კალათბურთი

**გუშინ** ფიბა-ევროპის თასის კენჭისყრა გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი კორაჩისა და საპორტას თასთა გაერთიანებაა და წლეულს პირველად ტარდება.

ფიბა-ევროპის თასის ჩრდილოკონფერენციელთა კენჭისყრა ვილნიუსში გაიმართა და რატომღაც აქ იყო გამწესებული საქართველოდან ევროთასებზე მონაწილე ერთადერთი კლუბი, თბილისის „დინამო", რომლის მეტოქენიც A ჯგუფში იქნებიან ბაქოური კლუბი, უკრაინული „ხიმიკი" და რუსული „ევრაზი"



REUTERS

# კვლავ ხმაურობს მანჩესტერი

თოფი გავარდეს, მასრა ავარდეს. მთელი თავისი გულისყურის ერთი, ბუზისოდენა წერტილისკენ მიმპყრობი ინგლისელი მეთოფე რიჩარდ ბრიკელი მანჩესტერში, სრულიად ბრიტანულ თამაშებზე სასხლეტზე თითს ათამაშებს და ყურადღებას არ აქცევს, როგორ პანტაპუნტით ცვივა მისი ხელთოფიდან გაცლილი მასრები. რა დროს ცარიელი ტყვიებია, როცა საჯსეთა მიზანმიმართვას და მსროლელებში პირველობას ლამო''

...კი სხვა შეჯიბრი უკვე ...ებულა და ფოტოზე მო... ...ულ ტანმოვარჯიშეთა დაჯ... ...ება. ორივე ავსტრალიელია, თან ძმობილები და მარცხენას, სახელად დამიან ისტრიას გულში შურჩაუგუბებლად შეუმართავს ოქროსმომხვეჭი ძმაკაცის ფილიპე რიზოს კუნთა მარჯვენა. ჩემპიონი რიზო კი იმ ამბავს ჰკვირვობს, ოქრო როგორ მერგო, პირველობას დამიანი უფრო იმსახურებდაო.



REUTERS

# ლამპრემ ხელები დაიბანა

მშვენიერი ავტობუსია, კაცი იფიქრებს, მის პატრონს ამქვეყნიური პრობლემები არ უნდა აწუხებდესო, მაგრამ თურმე არც ასეა. ავტობუსის პატრონი ველომრბოლთა გუნდი „ლამპრეა“, რომელსაც ტურ დე ფრანსის გასასრულს, დიახაც, მოსძალებია პრობლემები. ტურის მესამეადგილოსანი ლიტველი რაიმონდას რუმსასის ცოლი ედიტა ლიონის პოლიციაში ყურყუტობს. დოპინგი უპოვეს და იმიტომ. შესაძლოა, ლამპრელებს გული შესტკიოდეთ თანაგუნდელზე, რომელსაც ალბათ დოპინგით მაიმუნობისთვის სასჯელი ელის, მაგრამ გარედან სხვაგვარად ჩანს. „ლამპრემ“ პოლიციის წინაშე ხელები დაიბანა და თავადვე მოიკვეთა დოპინგით გაჟღენთილი ლიდერი, იმის შიშით, გუნდი არაფერ შუაში ვართ და ნურავინ შეგვრისხავთო.




REUTERS



AP

# ბალღი ვარსკვლავის კოჭებით

ეს ხუთი წლის ბალღი ერთია იმ ათასობით ამერიკელისგან, რომლებიც ოკეანგაღმურ ფეხბურთს ბავშვობიდანვე მოუწამლავს და თავდაყირა დაუყენებია. ბალღი ნაღდი ვაჟკაცია, პროფების ვარჯიშზე შეპარულა და ნესვა-ბურთით ჟონგლიორობს. კოჭებშივე ეტყობა, მისგან ნაღდი მობურთალი დადგება.

# ციკლოსის კოლოსალური

რიო დე ჟანეიროში, მაგრამ არა პლაჟზე, დიდი საწყლოსნო ჟრიამულობა გამართულა. ხმელეთზე მოგუბებულ წყალში, ანუ აუზში მსოფლიოს ლიგის ერთ თამაშზე ბერძენ დიმიტრიოს ციკლოსს მასპინძელი ბრაზილიის კარში ეს-ესაა ულამაზესი გოლი შეუგდია. ციკლოსის კოლოსალური წვლილი მიუძღვის ბერძენთა 12:8 გამარჯვებაში.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge